# საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge






იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცრუილობით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლოესია.

ოთხშაბათი, 1 თებერვალი. 2017 წ. №23 (8160), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

## ნაცებო, თუ წაიკითხავთ, დაიღუპებით!

## AFFAIR




3

**ომარ ხახაშვილი:**

წერილი ბელგიიდან



## უკონტროლობა რყვნის, აბსოლუტური უკონტროლობა აბსოლუტურად რყვნის!

4

## ოქროს საცავის ექვსი გასაღები დაკარგულია, ღამის განმავლობაში ტერიტორიას პოლიცია იცავს

**„ბაზშვთა სამყაროს“ ტერიტორიაზე არსებულ „ოქროს სამყაროში“ 270 საცავიდან 264 უკვე გახსნილია და მეპატრონეებს ძვირფასი ნივთები გატანილი აქვთ,** – განაცხადა „ოქროს სამყაროს“ კომერციულმა დირექტორმა მირიან მარიამიძემ. მისი თქმით, დარჩენილია ექვსი საცავი, რომელთა მეპატრონეებმა გასაღებები დაკარგეს. ღამის განმავლობაში ტერიტორიის უსაფრთხოებაზე პოლიცია იზრუნებს.

**„დარჩენილია 6 საცავი. რადგან საცავებში შენახული ძვირფასეულობის მეპატრონეებმა დაკარგეს საცავის გასაღები ან დახლში ჰქონდათ შენახული, ან ხანძრის შედეგად გაუნადგურდათ. გუშინ მიმდინარეობდა ამ საცავების დემონტაჟი. ხოლო დღეიდან დაიწყება იმ ადამიანების შეშვება „ოქროს სამყაროს“ ტერიტორიაზე, ვისაც დახლში ჰქონდა შენახული ძვირფასი ნივთები და ხანძარს გადაურჩა. შესაძლოა ეს ნივთები დაზიანებული იყოს, თუმცა, გამოდგება გადადნობისთვის ან სხვა დანიშნულებისთვის“,** – განაცხადა მარიამიძემ.

## გია ცერცვაძემ უკრაინას პოლიტიკური თავშესაფარი მოსთხოვა



ქართველმა ვიცე-პოლკოვნიკმა გია ცერცვაძემ, უკრაინას პოლიტიკური თავშესაფარი მოსთხოვა. ამის შესახებ ინფორმაციას „რუსთავი-2“ ავრცელებს!!!

განცხადება შესაბამის უწყებაში მისმა ადვოკატმა ქსენია ორკონიოვამ შეიტანა და მისთვის დევნილის სტატუსით ითხოვს პოლიტიკური თავშესაფარის მიცემას.

ცერცვაძის თქმით, განაცხადის განხილვის ვადა 25 თებერვალს იწურება და უკრაინის ხელისუფლებამ ამ დროისთვის უნდა გადაწყვიტოს, მიანიჭებს თუ არა მას დევნილის სტატუსს. ადვოკატების თქმით კი, დღეისათვის გია ცერცვაძის უსაფრთხოებისთვის ყველაზე ოპტიმალური უკრაინაში ყოფნაა და იმედოვნებენ, რომ მისთვის თავშესაფრის მიცემის საკითხი დადებითად გადაწყდება.

## მიმართვა

### გიორგი მარგველაშვილს, გიორგი კვირიკაშვილსა და ირაკლი კობახიძეს

## ქართველ მწერლებს არ ეკადრებათ ის, რაც სააკაშვილმა დამართა!

საქართველოს მწერალთა კავშირს მიხეილ სააკაშვილმა საკუთრებაში გადაცემული სახლი წაართვა. დღევანდელმა ხელისუფლებამ მწერალთა კავშირს არ დაუბრუნა აკაკი ხოშტარიას მიერ ნაჩუქარი სასახლე.

მაისში, მწერალთა კავშირს 100 წელი შეუსრულდება. მე იმედი მაქვს, რომ კეთილშობილი მოღვაწენი – გიორგი მარგველაშვილი, გიორგი კვირიკაშვილი და ირაკლი კობახიძე ქართველ მწერლებს საიუბილეოდ დაუბრუნებენ წართმეულ საკუთრებას!

ქართველ მწერლებს არ ეკადრებათ ის, რაც სააკაშვილმა დამართა!

პატივისცემით,



**ჯანსუღ ჩარკვიანი,**
საქართველოს მწერალთა კავშირის საპატიო თავმჯდომარე, შოთა რუსთაველის პრემიის ლაურეატი, სახალხო პოეტი

## ერთის პირობით

მწყურვალისათვის
მიმატანინე წყალი,
მევალისათვის
მიმატანინე ვალი,
გზააბნეულისთვის
მასწავლებინე გზები,
შეუწამლავი
შემაწამვლინე ზვრები,
მომაძებნინე
სხვაგან დამარხული ძმები,
ამ ჩემს მამულში
დამამარხვინე ძვლები,
მათქმევინე:
ქვეყნად სიცოცხლე ღირდა,
მერე წამოვალ,
წამოვალ, საცა გინდა.

**ჯ. ჩ.**

# საქართველოს პრემიერ-მინისტრი ევროკომისიის წარმომადგენლებს შეხვდა



**საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი ევროკომისიის სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოების შესახებ მოლაპარაკებათა საკითხებში გენერალურ დირექტორს ქრისტიან დანიელსონს და საგარეო ქმედებათა ევროპული სამსახურის ევროპისა და ცენტრალური აზიის საკითხებში მმართველ დირექტორს თომას მაირ-ჰარტინგს შეხვდა. მხარეებმა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების ფარგლებში მიმდინარე რეფორმებზე და ევროპის სამეზობლო პოლიტიკაზე ისაუბრეს.**

შეხვედრაზე განიხილეს საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების ძირითადი საკითხები და თანამშრომლობის პერსპექტივები. საუბარი შეეხო 2017-2020 წლის ასოცირების ახალ დღის წესრიგს და „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ რიგით მეხუთე სამიტისთვის მზადების პროცესს.

ყურადღება გამახვილდა სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის დასკვნითი პროცედურების დროულად დასრულების მნიშვნელობაზე და გამოითქვა იმედი, რომ საქართველოს მოქალაქეები უვიზოდ გადაადგილებას უახლოეს მომავალში შეძლებენ.

ხაზი გაესვა საქართველოში მიმდინარე რეფორმების მხარდასაჭერად ევროკავშირის ფინანსური დახმარების როლს და დახმარების ახალ ინსტრუმენტებსა და პროგრამებში საქართველოს ჩართულობის შესაძლებლობებს. მხარეებმა ისაუბრეს განათლებისა და ინფრასტრუქტურული განვითარების საკითხებზე, რა მიმართულებითაც ევროკავშირი 2017 წელს პროექტების განხორციელებას გეგმავს. საუბარი შეეხო უსაფრთხოების თემებს, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ ვითარებასა და ევროკავშირის ჩართულობის მნიშვნელობას ქვეყანაში სტაბილურობის ხელშეწყობის პროცესში. ევროკომისიის წარმომადგენლებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს ევროკავშირის ურყევი მხარდაჭერა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისადმი საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში.



# სამ სახელმწიფოში ახალი ელჩები დაინიშნება

**საქართველოს პრეზიდენტმა ხელი მოაწერა განკარგულებებს სამ სახელმწიფოში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩების დანიშვნის შესახებ.**

ქვეყნის პირველი პირის განკარგულებების მიხედვით, 2017 წლის 1 მარტიდან კანადაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩისა და, ასევე საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის ორგანიზაციაში (ICAO) საქართველოს მუდმივი წარმომადგენლის თანამდებობაზე კონსტანტინე ქავთარაძე დაინიშნა.

2017 წლის 1 მარტიდან კორეის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის თანამდებობას ოთარ ბერძენიშვილი, ხოლო მიმდინარე წლის 15 თებერვლიდან ყაზახეთის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის თანამდებობას ზურაბ აბაშიძე დაიკავებს.

# საპარლამენტო დელეგაცია ბრიუსელში

**საქართველოს საპარლამენტო დელეგაცია ვიზალიბერალიზაციის შესახებ რეგულაციის კენჭისყრის პროცედურას დაესწრება. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე პირველი სამუშაო ვიზიტით ბრიუსელს ეწვევა.**



პარლამენტის პრესსამსახურის ინფორმაციით, საქართველოს საპარლამენტო დელეგაცია ევროპარლამენტის პლენარულ სხდომაზე საქართველოსთან უვიზო მიმოსვლის შესახებ რეგულაციის განხილვასა და კენჭისყრის პროცედურას დაესწრება.

ვიზიტის ფარგლებში ირაკლი კობახიძე და პარლამენტის წევრები შეხვედრებს ევროპარლამენტის თავმჯდომარესთან ანტონიო ტაიანისთან, ბელგიის პარლამენტის თავმჯდომარესთან ზიგფრიდ ბრაკესთან და ბელგიის სენატის თავმჯდომარესთან კრისტინ დეფრენთან გამართავენ. ვიზიტის ფარგლებში საქართველოს პარლამენტის წევრები ევროპარლამენტში საქართველოსთან უვიზო მიმოსვლის საკითხზე მომხსენებელს მარია გაბრიელს შეხვდებიან. საქართველოს პარლამენტის დელეგაცია ბრიუსელში ვიზიტს 3 თებერვალს დაასრულებს. საპარლამენტო დელეგაციის შემადგენლობაში არიან: საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე სოფიო ქაცარავა, ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე თამარ ხულორდავა და კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ირინე ფრუიძე, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეები ნინო გოგუაძე და დიმიტრი ცქიტიშვილი, ასევე საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის კაბინეტის უფროსი ნიკოლოზ სამხარაძე.

ევროპარლამენტის პლენარულ სხდომაზე, საქართველოსთან უვიზო მიმოსვლას კენჭს 2 თებერვალს უყრიან.

# ვანო მერაბიშვილის შეწყალების საკითხი არ განიხილება

**პატიმრობაში მყოფი ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ვანო მერაბიშვილის შეწყალების საკითხი არ განიხილება, ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტის პრესსპიკერმა ეკა მიშველაძემ განაცხადა — „ამ ეტაპზე ეს საკითხი არ განიხილება“.**



მისივე თქმით, შეწყალების მოთხოვნით პრეზიდენტისთვის არც ვანო მერაბიშვილს მიუმართავს.

# ლევან იზორია: „საქართველოდან შორს თქვენ ყველაზე ეროვნულ საქმეს აკეთებთ“

**„თითოეული თქვენგანი ამტკიცებს იმ საქმეს, რასაც ჩვენი პარტნიორების მხრიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის და სუვერენიტეტის მხარდაჭერა ჰქვია. ჩვენი პარტნიორები თვლიან, რომ სწორედ თქვენი თანადგომით და თანამონაწილეობით ჩვენ მათთან ერთად ვამტკიცებთ მსოფლიოში უსაფრთხოებას. ამიტომ ვართ სანდო პარტნიორები. დარწმუნებულები იყავით, რომ მართალია საქართველოდან შორს, მაგრამ თქვენ აკეთებთ ყველაზე ეროვნულ საქმეს. დღეს თუ ყველაზე მეტად არის ქართველი საქართველოს დროშით დაფასებული, ეს თითოეული თქვენგანია“** — ამ სიტყვებით მიმართა საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ქართველ მშვიდობისმყოფელებს, რომლებიც ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში ევროკავშირის ეგიდით მიმდინარე მისიაში მონაწილეობის მისაღებად გაემგზავრნენ.




გაცილების ცერემონიალი ალექსეევკის შერეულ საავიაციო ესკადრილიაში გაიმართა. ლევან იზორიამ საქართველოს შეიარაღებული ძალების II ქვეითი ბრიგადის ოცეულს მისიის წარმატებით შესრულება უსურვა და საერთაშორისო ოპერაციის მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება.

ქართველი სამხედროების დასამშვიდობებლად ალექსეევკაში მინისტრთან ერთად გენერალური შტაბის უფროსი, ბრიგადის გენერალი ვლადიმერ ჩაჩიბაია, მისი პირველი მოადგილე, პოლკოვნიკი ნიკოლოზ ჯანჯღავა და საფრანგეთის ელჩი საქართველოში პასკალ მენიე იმყოფებოდნენ. მათ მშვიდობისმყოფელების მისიის წარმატებით განხორციელება და საქართველოში მშვიდობით დაბრუნება უსურვეს.

**„დღეს ევროკავშირის ეგიდით მიმდინარე მისიაში მონაწილეობის მისაღებად ქალაქ ბანგიში საქართველოს შეიარაღებული ძალების ოცეული მიემგზავრება. მინისტრი იზორია და მე აეროპორტში მოვედით, რათა ქართველ სამხედროებს დავემშვიდობოთ და მშვიდობიანი ფრენა ვუსურვოთ. ვფიქრობ, მისია, რომელშიც ქართველი მშვიდობისმყოფელები ერთვებიან, ძალიან მნიშვნელოვანია. როგორც იცით, საფრანგეთი მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და საქართველოს მისწრაფებას ნატოსა და ევროკავშირში. ძალიან ვაფასებთ საქართველოს შეიარაღებული ძალების მიერ მსოფლიოს სტაბილურობისა და მშვიდობის განმტკიცების საქმეში შეტანილ წვლილს ფრანგ სამხედროებთან ერთად. ვფიქრობ, ასეთი სახის ოპერაციები ჩვენი ქვეყნების შეიარაღებულ ძალებს კიდევ უფრო აახლოებს და მათ შორის მჭიდრო ურთიერთობების ჩამოყალიბებაში უწყობს ხელს. საფრანგეთსა და საქართველოს შორის არსებული სამხედრო თანამშრომლობა მაღალ დონეზეა. გასული წლის აპრილში, როდესაც თქვენი პრეზიდენტი საფრანგეთში ოფიციალურ ვიზიტად იმყოფებოდა, ეს თემა ორმხრივი დისკუსიების მთავარი საკითხი იყო,“** — აღნიშნა საფრანგეთის ელჩმა.

II ქვეითი ბრიგადის 23-ე ბატალიონის ნაკრები ოცეული ცარ-ში ევროკავშირის ეგიდით მიმდინარე სამხედრო-საწვრთნელ მისიას — EUTM RCA 6 თვის განმავლობაში შეასრულებს. ქართული კონტინგენტი, ფრანგული სარდლობის დაქვემდებარებაში, დედაქალაქ ბანგიში ბაზა „უკატექსზე“ განთავსდება. კაპიტან რომან მოდებაძის მეთაურობით, ქართველი მშვიდობისმყოფელების მთავარი ამოცანა ბაზის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, მოტორიზებული პატრული, კონვოირება და გაცილება იქნება.

ნაკრები ოცეულის შემადგენლობაში მყოფ სამხედრო მოსამსახურეებს საერთაშორისო მისიებში მონაწილეობის კარგი გამოცდილება აქვთ. სხვადასხვა დროს ოცეულის სამხედრო მოსამსახურეები ჩართულები იყვნენ ავღანეთსა და ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში წარმოებულ საერთაშორისო ოპერაციებში.

№23. ოთხშაბათი, 1 თებერვალი, 2017 წელი.

# AFFAIR




**ეს ფრანგული ტერმინი სწრაფად გამდიდრების, პოლიტიკური ზეგავლენის მოპოვების მიზნით რაღაც ბნელი საქმის წამოწყების აღსანიშნავად იხმარება და საქართველოში მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში რუსებთან ერთად შემოვიდა. აქედანვეა აფერისტიც – აფერის მონაწილე.**

ვინაიდან ფრანგებს, რუსებს, გერმანელებს და დანარჩენ ევროპელებსაც თავისი ცოდვები ეყოფათ, დავაზუსტებ, რომ საქართველოში რუსებმა შემოიტანეს ტერმინი „აფერა“ და არა ის ქმედებები, რასაც ეს ტერმინი გულისხმობს. რუსის მოსვლამდეც და რუსის წასვლის შემდეგაც გამდიდრების, შურისძიების, დაჩაგვრის, ზეგავლენის მოპოვების თუ სხვა რამ ბნელი საქმის კეთებისა და ამ საქმის მკეთებელთა აღსანიშნავად ქართულ ლექსიკაში, სულო და გულო, სიტყვათა მთელი არსენალია: ხიმანკლობა, ცბიერება, ვერაგობა, ხრიკიანობა, მზაკვრობა, ქვებუდანობა, ნამარდობა, ყალთაბანდობა, შარიანობა, გაიძვერობა, აზრუნდობა, დავაქრობა, გაუტანლობა, თვალთმაქცობა, ძირის გამოთხრა, ხლართის გაბმა, ხვანჯის გაბმა, ფეხის დადება, სარმის გამოდება; მზაკვარი, ეშმაკი, ვირეშმაკა, კუდამელა, ხიმანკალი, ფლიდი, ოინბაზი, გაქნილი, თვალთმაქცი, გველაძუა, თაღლითი, მლიქვნელი, მატრაბაზი...

მდიდარი ლექსიკური მარაგიდან გამომდინარე, შეგვიძლია თამამად დავასკვნათ, რომ აფერისა და აფერისტის არსი ჩვენ სხვისგან ნამდვილად არ გვესწავლება (შეგვიძლია გულისტკივილით მხოლოდ ის აღვნიშნოთ, რომ რუსულის გავლენით ქართულ ენაში აგერ ორი საუკუნეა, დამკვიდრებულია არა ფრანგული affair – აფერა, არამედ მისი რუსული ინტერპრეტაცია affair – აფიორა). პირიქით, შეგვიძლია ჩვენი ცოდნა და გამოცდილება თანამედროვე ევროპას შევთავაზოთ და წარმატების დიდი იმედიც ვიქონიოთ. თუ ალღო არ მღალატობს, ზოგიერთი ჩვენი თანამემამულე საერთაშორისო არენაზე ამას უკვე აკეთებს კიდეც და არცთუ ურიგოდ.

აფერის აღსანიშნავი ყველა ქართული ტერმინი რომ მიესადაგება, ქართული სინამდვილიდან სამიოდე ასეთ მაგალითს შეგახსენებთ: „აშშ ჩვენი მეგობარი ქვეყანაა“; „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა პოლიტიკური ორგანიზაციაა“ და „რუსს არ დაველაპარაკები, სანამ ის ოკუპირებულ ტერიტორიებს არ დაგვიბრუნებს“.

დიდი და მდიდარი აშშ არ არის, არ ყოფილა და არც ოდესმე იქნება საქართველოს ან მსოფლიოს სხვა ნებისმიერი ქვეყნის „მეგობარი“ ამ სიტყვის პირდაპირი და ტრადიციული გაგებით. იგი, შესაძლოა, იყოს მეზობელი, მფარველი, პარტნიორი, მოკავშირე, მტერი, დუშმანი, მაგრამ არავითარ შემთხვევაში - „მეგობარი“. სახელმწიფოთა შორის ურთიერთობათა ისტორია „მეგობრობის“ ცნებას არ ცნობს და არც იცნობს. თუნდაც იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ „მეგობრობა“ გულისხმობს უანგარობას. აშშ-ს, რუსეთს, ჩინეთს, ბრაზილიას, არგენტინას, ირანს, ზიმბაბვეს, პრუსიას, რომის იმპერიას, მონღოლთა სახანოს... არ ჰყოლიათ, არ ჰყავთ და არ ეყოლებათ „მეგობარი ქვეყნები“. ეს ჩვენ, „მესამე სამყაროს“ „შეუმდგარი სახელმწიფოები“ ვცდილობთ სასურველის სინამდვილედ წარმოდგენას და საკუთარი თავის ძლევამოსილი ქვეყნის მეგობრობაში დარწმუნებას. უფრო ზუსტად, არცთუ უანგარო ზრახვებიდან გამომდინარე, ამას ცდილობენ იმ „ძლევამოსილი“ და „შეუმდგარი“ ქვეყნების ხელისუფლებები. თუ ღმერთმა ინება და, ოდესმე ამერიკის „მეგობრობა“ ფეხებზე დავიკიდეთ, ეს იმის მანიშნებელი იქნება, რომ საქართველო სამხედრო და ეკონომიკური თვალსაზრისით „მეგობარ“ აშშ-ს არაფრით ჩამოუვარდება!

ჯერჯერობით კი მხოლოდ ვამაყობთ ბუნებაში არარსებული მეგობრობით, თვალებში და ხელებში შევციცინებთ მდიდარ მეგობარს, რომელიც მშიერი ოკეანისგაღმელი „მეგობრისთვის“ გამოხრულ ძვალს თუ გაიმეტებს და იმასაც - არცთუ უანგაროდ.

ამიტომ არის აფერა „ამერიკა ჩვენი მეგობარია“.

სანამ „რუსეთუმეობისთვის“ ინკვიზიციის წმინდა კოცონისთვის გამიმეტებდეთ, ვიტყვი - რუსეთს არ ვახსენებ იმის გამო, რომ მას საქართველოში „მეგობრად“ არავინ მოიხსენიებს (სხვათა შორის, ძალიან თვალსაჩინო აფერის კლასიკური ნიმუში გახლდათ დიად საბჭოეთში დამკვიდრებული გამოთქმა: „ნეუკლონნო რასტიოტ ბლაღასასტაიანიე სავეტსკოვო ჩელავეკა“).

ახლა რაც შეეხება თეზისს, ბოლო 17 წლის განმავლობაში ცეცხლით და მახვილით რომ ინერგებოდა საქართველოს მოქალაქეთა შემეცნებაში: „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა არის პოლიტიკური პარტია“...

ამ, ბოდიში და, „პარტიის“ მიზანი არ ყოფილა პოლიტიკური ძალაუფლების ქვეყნის აღმშენებლობის, დემოკრატიული საზოგადოებისა თუ სახელმწიფოებრიობის მშენებლობისთვის გამოყენება. მისი მიზანი იყო ხელისუფლების უზურპაცია დიქტატორული რეჟიმის დასამკვიდრებლად. ბელადი სააკაშვილი ცოტა უფრო ნიჭიერი და ცოტა უფრო მომთმენი ადამიანი რომ ყოფილიყო, მისი ხელისუფლებიდან მოშორება საქართველოს უზარმაზარი ტანჯვის და ზღვა სისხლის ფასად დაუჯდებოდა. თუმცა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ ჯერ ყველაფერი არ დამთავრებულა. სააკაშვილს საქართველოში ჯერ კიდევ ათასობით მომხრე ჰყავს — გულუბრყვილოებიც, მოტყუებულებიც, პოლიტიკას მიტმასნილი უნიჭოებიც და, რაც მთავარია, ისეთები, უკან დახევა რომ არ შეუძლიათ, რადგან მათ უკან დგას დაუნდობელი ურჩხული — პასუხისმგებლობა ჩადენილი უპატიებელი დანაშაულების გამო. პასუხისმგებლობა ოფიციალური სამართლისა და, რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს — ლინჩის სამართლის წინაშეც.

***„პარტიის“ მიზანი არ ყოფილა პოლიტიკური ძალაუფლების ქვეყნის აღმშენებლობის, დემოკრატიული საზოგადოებისა თუ სახელმწიფოებრიობის მშენებლობისთვის გამოყენება. მისი მიზანი იყო ხელისუფლების უზურპაცია დიქტატორული რეჟიმის დასამკვიდრებლად. ბელადი სააკაშვილი ცოტა უფრო ნიჭიერი და ცოტა უფრო მომთმენი ადამიანი რომ ყოფილიყო, მისი ხელისუფლებიდან მოშორება საქართველოს უზარმაზარი ტანჯვის და ზღვა სისხლის ფასად დაუჯდებოდა. თუმცა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ ჯერ ყველაფერი არ დამთავრებულა. სააკაშვილს საქართველოში ჯერ კიდევ ათასობით მომხრე ჰყავს – გულუბრყვილოებიც, მოტყუებულებიც, პოლიტიკას მიტმასნილი უნიჭოებიც და, რაც მთავარია, ისეთები, უკან დახევა რომ არ შეუძლიათ, რადგან მათ უკან დგას დაუნდობელი ურჩხული – პასუხისმგებლობა ჩადენილი უპატიებელი დანაშაულების გამო. პასუხისმგებლობა ოფიციალური სამართლისა და, რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს – ლინჩის სამართლის წინაშეც.***

**დიდი, გრანდიოზული, ძალიან გამჭვირვალე და საქართველოს სახელმწიფოებრიობისთვის უზარმაზარი საფრთხის შემცველია ნაცმოძრაობის მიერ საკუთარი უსუსურობისა და მოღალატური ქმედებების გადასაფარავად მოგონილი თეზისი – „რუსს არ უნდა დაველაპარაკოთ, სანამ იგი ოკუპირებულ ტერიტორიებს არ დაგვიბრუნებს!“ ადამიანურ ენაზე ეს ნიშნავს, რომ საქართველომ არ უნდა სცადოს წართმეულის დაბრუნება, სამუდამოდ უარი უნდა თქვას თავის ისტორიულ მიწა-წყალზე; ანუ, ნაციდეოლოგების ლოგიკით, მოთმინებით დაელოდონ იმ სანუკვარ დღეს, როცა რუსეთი აღიგვება მიწის პირისაგან.**

**ალბათ ლაპარაკიც არ ღირს ისეთი ლოკალური ხასიათის აფერაზე, როგორიცაა სააკაშვილის „უზარმაზარი საერთაშორისო ავტორიტეტი“, ფასადების გადაღებვა, „გახსნები“, შადრევნები, „ხალხში გასვლები“, „მსოფლიოში ყველაზე კომპეტენტური მთავრობა“, „თავისუფალი ბიზნესი“, „კორუფციის დამარცხება“, „დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობა“, „ღიმილიანი საქართველო“ და მრავალი, მრავალი სხვა.**

აფერაა სანდრა რულოვსის „გაპოლიტიკოსება“, უფრო ზუსტად, მისი გაპოლიტიკოსებისა და საქართველოდან თავქუდმოგლეჯით გაქცეული სააკაშვილის სანდრათი ჩანაცვლების წარუმატებელი მცდელობა. აღარაფერს ვამბობ ამ ქალბატონის ყოვლად სულელურ საჯარო გამოსვლებზე, მისივე შესრულებულ მეგრულ სიმღერებსა და მრავალჯერ გამეორებულ „გვირაბის“ თეორიაზე – ვისაც სააკაშვილთან შორეული ურთიერთობა მაინც ჰქონია, ვისაც რუსული თვითმფრინავის ხმაზე მისი რეაქცია უნახავს, დამერწმუნება, რომ ყოფილი „დიდი ლიდერი“ არავითარი გვირაბის გამთხრელი, სამშობლოში ინკოგნიტოდ დამბრუნებელი და კამო ტერ-პეტროსიანივით იატაკქვეშელი მამაცი მებრძოლი არ არის. იგი არის საკუთარი „დევნილობით“ მოკეკლუცე ყოვლად ჩვეულებრივი აფერისტი – აფერების დიდოსტატი.

აფერაა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თეორია იდეოლოგიური შეუთავსებლობის გამო გათიშვა-გამოყოფა-გაჭინთვების შედეგად „კიდევ უფრო ძლიერი პოლიტიკური მოძრაობის“ დაბადების თაობაზე. სინამდვილეში, ეს არის ნაცმოძრაობის შედარებით ინტელექტუალური ნაწილის მცდელობა, როგორმე ჩამოირეცხოს სააკაშვილის დანაშაულებრივი ხელისუფლების სისხლი და სირცხვილი. აქედან გამომდინარე, შეუნიღბავი აფერა იყო წლევანდელი 20 იანვრის სააკაშვილის ერთგული ნაცების შვიდი ათასკაციანი ყრილობა თბილისის სპორტის სასახლეში; აფერა იქნება გიგაგიგის (ბოკერია-უგულავას) ფრთის უახლოეს მომავალში დაანონსებული ყრილობაც. ორივე ფრთის ერთადერთი და სანუკვარი მიზანი რევანშია და ისინი ამას არც მალავენ – ჩვენ დავამარცხებთ ბიძინა ივანიშვილის რეჟიმს! ეკონომიკის ამაღლებაზე ზრუნვა კი არა, სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობა კი არა, რუსეთთან ურთიერთობების მოგვარებასა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე ზრუნვა კი არა – მართლმორწმუნე და პროტესტანტი ნაცების უზენაესი მიზანი ვინმე უთანამდებობო, მაგრამ გავლენიანი პერსონის დამარცხება ყოფილა!

ორივე ფრთას უკან კლდესავით უდგას კიდევ ერთი გუშინდელი ნაცი, „გირჩი“, რომლის აფერა ერთდროულად ტრაგიკულიცაა და კომიკურიც – იგი საზოგადოების დარაზმვას ნაცების სასარგებლოდ... მარიხუანის ლეგალიზაციის მოთხოვნით ცდილობს. ეს არ გახლავთ უვიცობა ან გულუბრყვილობა ისევე, როგორც არ არის რაიმე კეთილშობილური (მაგალითად, ქვეყნის ეკონომიკის გაჯანსაღების) მიზნით ნაკარნახევი – გირჩებმა იციან, რომ საქართველოში ნარკოტიკების ტრაგიკულად ბევრი მომხმარებელია და მათი სისუსტის (გნებავთ – სენის) სათავისოდ გამოყენებას ლამობენ...

მოდი, კიდევ ერთხელ გავიხსენოთ, რა ტერმინები არსებობს მშობლიურ ქართულში ფრანგული affair-ის აღსანიშნავად...



**თეიმურაზ ქორიძე**

# უკონტროლობა რყვნის, აბსოლუტური უკონტროლობა აბსოლუტურად რყვნის!

## როგორ ვაკონტროლოთ ხელისუფლება?

### 1. უკონტროლობა – დემოკრატიის ხარვეზი

**ხელისუფლებას, არჩევის გარდა, კონტროლიც სჭირდება, რომ მსახურად არჩეული ბატონად არ ექცეს ხალხს. უკონტროლობა აცუღლუტებს და ამცონარებს მსახურს. ამიტომ ამბობდა ნეტარხსენებული ლუარსაბის ღირსეული მეუღლე, კნეინა დარეჯანი: „ესე უნდა, თვალგაფაციცებული დასტრიალებდე მოსამსახურესა, თორემ ჭამის მეტს არას გააკეთებს“. რაღა ითქმის უკონტროლო ხელისუფლებაზე, რომელსაც მინდობილი აქვს ხალხის ქონება და აღჭურვილია ძალაუფლებით?!**

უკონტროლობის შედეგია, რომ ჩვენი „მსახური“ ხელისუფლებებიც ჭამის მეტს თითქმის არაფერს აკეთებენ. შევარდნაძისა და სააკაშვილის ხელისუფლებებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, რომლებმაც გადაჭამეს ქვეყანა და მილიარდობით საგარეო ვალი დაუტოვეს ხალხს, ივანიშვილის ხელისუფლებაც, საქმით უნიათო, ჭამაშია მარდი: ზღაპრული„ხელფასები“, „პრემია-დანამატები“, ძვირად ღირებული ჯიპები, ქალაქსწასული გიჟივით ევროპა-ამერიკაში უსაგნო ვოიაჟები და სხვა პრივილეგიები, ხალხის დიდი ნაწილი კი, უმუშევარ-უხელფასობისთვის განწირული, ნაგავში იქექება!

ხელისუფლება ხალხის მსახურიაო და, გაგონილა, მსახური ფუფუნებაში ცხოვრობდეს, ბატონი კი შიმშილისგან სულს ღაფავდეს?! ანდე ეხლა ამათ ქვეყნის ხაზინა და ბიუჯეტი! ამათზეა ნათქვამი, მგელო, ცხვარი გებარებოდესო! მაგრამ ანაბარი მგელმაც იცისო. და მგელზე უარესი ყოფილა უკონტროლო ხელისუფლება.

ბიძინა ივანიშვილი გვარწმუნებს, მინისტრებსა და პარლამენტარებს დიდი ხელფასები იმიტომ ეკუთვნით, რომ ქრთამი არ აიღონო. მაგრამ რატომ ვერ დააოკა დიდმა ხელფასებმა სააკაშვილი და მისი ბანდა, ელიტარულ კორუფციაში რომ ჩაიხრჩვნენ?!

ბატონმა ბიძინამ აღიარა, სააკაშვილსა და მის მინისტრებს ხელფასებს, სოროსი კი არა, მე ვუხდიდიო. ამაზე ერთმა ჟურნალისტმა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ დაწერა: დალოცვილო, თუ სააკაშვილის მინისტრებს უხდიდი, შენს მინისტრებსაც შენი ჯიბიდან უხადე, ხალხის ბიუჯეტიდან რატომ უხდიო?! მაგრამ წერე და იკითხე! თუ მიშა არ კითხულობდა გაზეთებს, ბიძინას რაღა რჯის, რომ იკითხოს?! ხალხი ხომ იმისთვის არსებობს, რომ აირჩიოს ხელისუფლება, არა იმისთვის, რომ აკონტროლოს იგი! „აგვირჩიეთ? ახლა რასაც გვინდა, იმას ვიზამთო!“ ასეთ ხელისუფლებაზეა ნათქვამი, ღორის ტილი ფეხზე დაისვი და თავზე აგაცოცდებაო!

სინამდვილეში, დიდი „ხელფასები“ და „პრემია-დანამატები“ დიდი ქრთამებია, რომ მათი საშუალებით გარყვნან და ხალხის წინააღმდეგ ამუშაონ მინისტრები და პარლამენტარები. ამიტომ მათ დიდი ხელფასები კი არა, დიდი კონტროლი სჭირდებათ, რომ ხალხის მსახურებად არჩეული ეს ადამიანები იმის მსახურებად არ იქცნენ, ვინც მათ ამ „ხელფასებსა“ და „პრემია-დანამატებს“უხდის.

ყველა ყველა, მაგრამ რაში, ჯერ სააკაშვილსა და მის მინისტრებს, ახლა ბიძინას მინისტრებსა და პარლამენტარებს, ამ ე.წ. „ხელფასებთან“ ერთად, კიდევ „პრემია-დანამატები“? იმაში, რომ პირველებს – სადისტურად ერბიათ მშვიდობიანი დემონსტრაციები, „ნულოვანი ტოლერანტობით“ ქუჩაში ეხოცათ ახალგაზრდები, ეწამებინათ და ეუპატიურებინათ პატიმრები, ხოლო მეორეებს – „უნიათობაში“ თუ დანაშაულებრივ უმოქმედობაში, ხალხის მიერ მათთვის მინიჭებული ძალაუფლების არგამოყენებაში, ადამიანების წამება-მკვლელობასა და დაყაჩაღებაში მხილებული სააკაშვილისა და მისი ნაცბანდის ვირის აბანოში არ მითრევისთვის, მათი ქონების კონფისკაციის (ეს მუხლი აღარ არსებობს?) არგაკეთებაში, „ოფშორებში“ გადამალული მილიარდების დაზარალებული ადამიანებისთვის და ბიუჯეტისთვის არდაბრუნებაში, მათთან ლაჩრულ „კოჰაბიტაციაში“ და მათი დანაშაულის თანამონაწილედ გახდომაში?!



**ხელისუფლება ხალხის მსახურიაო და, გაგონილა, მსახური ფუფუნებაში ცხოვრობდეს, ბატონი კი შიმშილისგან სულს ღაფავდეს?! ანდე ეხლა ამათ ქვეყნის ხაზინა და ბიუჯეტი! ამათზეა ნათქვამი, მგელო, ცხვარი გებარებოდესო! მაგრამ ანაბარი მგელმაც იცისო. და მგელზე უარესი ყოფილა უკონტროლო ხელისუფლება.**

ვიღაც-ვიღაცებს, ხელისუფლების მანკიერებას მის ძალაუფლებაში რომ ხედავენ, წარამარა მოჰყავთ ლორდ ექტონის (1834-1902) ცნობილი გამონათქვამი: **„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება აბსოლუტურად რყვნის“**.

მაგრამ ძალაუფლება აუცილებელი ატრიბუტია ხელისუფლებისა, მისი იარაღი, ურომლისოდაც იგი თავის ფუნქციას ვერ შეასრულებს. ხელისუფლების ფუნქცია ხალხის დავალების, მის წინაშე ნაკისრი ვალდებულების შესრულებაა. ხალხი თვითონ აღჭურავს ხელისუფლებას ძალაუფლებით იმისათვის, რომ მან ამ ვალდებულების შესრულება შეძლოს. საქმეს გაკეთება უნდა, გაკეთებას ძალაუფლება სჭირდება. პოლიტიკაც ომია და უძალაუფლებო ხელისუფლება ომში შესულ უსაჭურვლო მეომარსა ჰგავს. დავით გურამიშვილის სიტყვები რომ გადავაკეთოთ, „ვით უსაჭურვლოდ მამაცი ომშიგან გულად ლომობდეს, გაცოფებული გულ-ბრაზად ვეფხვი უკლანჭოდ ომობდეს, ვერ აღასრულოს საწადი, რაც ნებავს, მისთვის ღონობდეს“, ეგრეთ უძალაუფლებო ხელისუფლება „ვერ მიხვდეს, რასაც ნდომობდეს“. ის ხელისუფლება კი, რომელიც ბოროტად უარს ამბობს თავისი ძალაუფლების გამოყენებაზე და „უნიათობით“ თვალთმაქცობს, საბოტაჟს უწყობს საკუთარ თავს, ხოლო შეთქმულებას – ხალხს!

ძალაუფლების ბოროტად გამოყენებაა უნიათობაც. მართალი თქვა ჯაბა იოსელიანმა: „დემოკრატია ლობიოს ჭამა არ არის“. მაგრამ მართალი მაშინ იქნებოდა, ეს რომ ეთქვა იმ არამზადის წინააღმდეგ, ვინც „დემოსს“ ანუ ხალხს, ყველაფერთან ერთად, შემნახველ სალაროში შავი დღისთვის შენახულ უკანასკნელ დანაზოგსაც ართმევდა, და არა „დემოსის“ ანუ ხალხის წინააღმდეგ, ვისაც ის არამზადა, მისივე „მხედრიონის“ დახმარებით, გაუბედურებულ ხალხს იმ დანაზოგსაც ართმევდა. „რომ ბედში მყოფი შენ ძმად მიგაჩნდეს – ეგ ვერაფერი სიყვარულია, სიტყვა ის არის, კაცს ის უყვარდეს, – ვინც ბედისაგან დაჩაგრულია!“ (ილია).

**სტალინს უსაყვედურეს, უხეში ხარო, რაზეც უპასუხა, „უხეში ვარ და უხეში დავრჩები ხალხის მტრების წინააღმდეგ“**-ო.

დიქტატორის ცნებას ხშირად ტირანის ცნებაში ურევენ, რაც, სინამდვილეში, მისი ანტიპოდია და არსებითად განსხვავდება მისგან. მათი გარეგნული მსგავსება ის არის, რომ ორივეს თავის ხელში აქვს კონცენტრირებული ძალაუფლება, მაგრამ თუ დიქტატორი ხალხის ნების აღსასრულებლად იყენებს მას, ტირანი - ხალხის ნების დასათრგუნად. დიქტატორის ვინაობა საერთოდ დასაზუსტებელია: დემოკრატიის დროს, ხალხი კარნახობს ხელისუფლებას თავის ნებას (კარნახი ლათინურად დიქტატს ნიშნავს), წესიერი ხელისუფალი კი აღასრულებს მას. გამოდის, რომ დიქტატორი ხალხია, ხოლო ის, ვინც წესიერად აღასრულებს ხალხის დიქტატს, – ოდენ აღმასრულებელი.

ძალაუფლება თავისთავად ბოროტება არ არის, ბოროტებაა ძალაუფლების ბოროტად გამოყენება, ძალაუფლების ბოროტად გამოყენების მიზეზი კი უკონტროლობაა. ამიტომ უფრო ზუსტი იქნება, ვთქვათ: უკონტროლობა რყვნის, აბსოლუტური უკონტროლობა აბსოლუტურად რყვნის.

ლორდ ექტონს, ისევე, როგორც ალფონს ლამარტინსა (1770-1869) და უილიამ პიტს (1708-1778), რომლებმაც ექტონზე ადრე გამოთქვეს ეჭვი ძალაუფლების მანკიერების შესახებ (ლამარტინმა – თავის ესეში „საფრანგეთი და ინგლისი“, რომლის ინგლისური თარგმანი გამოქვეყნდა 1848 წელს ლონდონში: „აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის საუკეთესო ზნის ადამიანებს“; პიტმა კი – 1770 წელს ლორდთა პალატისადმი მიმართულ სიტყვაში: „შეუზღუდავი ძალაუფლება გონებას ურყვნის მათ, ვინც მას ფლობენ“) მხედველობაში ჰქონდათ მონარქიული ეპოქის მეფეებისა და ინკვიზიტორი პაპების ძალაუფლება, რომელიც აბსოლუტური და უკონტროლო იყო. ასეთი ძალაუფლება კი ცალსახად ბოროტებაა. მაგრამ ჩვენ ვსაუბრობთ დემოკრატიული ეპოქის ხელისუფალთა ძალაუფლებაზე, რაც ბოროტებაა იმდენად, რამდენადაც უკონტროლოა, ხოლო კონტროლის შემთხვევაში,- აუცილებლობა და სიკეთე.

ხელისუფლების კონტროლზე ხალხს არც სტალინის დროს მიუწვდებოდა ხელი, რამაც განაპირობა მისი გარემოცვის გარყვნა, საბჭოთა კავშირის დანგრევა და რევოლუციური მონაპოვრის დაღუპვა. მართალია, სანამ ცოცხალი იყო, აღმასრულებელი თვითონ იყო თავისი „წყეული კასტის“ (ეს მან უწოდა თავისი მთავრობის წევრებს, როდესაც მათ, კუიბიშევში გადასულებმა, თავიანთი შვილებისთვის (ცალკე სკოლა გახსნეს) უმოწყალო კონტროლიორი, რომელიც საშუალებას არ აძლევდა მათ, ხალხზე ამაღლებულიყვნენ. ინგლისელი სტალინოლოგი საიმონ სებაგ მონტეფიორე გაკვირვებული აღნიშნავს, რომ, სტალინის სიცოცხლეში, პოლიტბიუროს წევრებს არ შეეძლოთ, მუშაზე მაღალი ხელფასი ჰქონოდათ. მაგრამ მოკვდა თუ არა, „წყეულმა კასტამ“, უპატრონოდ დარჩენილი „სახელმწიფო ქონებაზე“ (ხალხის ქონებაზე!) ხელის წაცდენისთვის იმუნიტეტი რომ მიეღო, ჯერ „ნომენკლატურა“ დაირქვა, ბოლოს საერთოდ „თვითლიკვიდაცია“ გამოაცხადა, რომ, კომუნისტური ვალდებულებებისაგან განთავისუფლებულს, „იურიდიულად“ მიეტაცებინა (მიეპრიხვატიზებინა) ხსენებული ქონება. ამიტომ უმჯობესია, რომ ხელისუფლების კონტროლზე უშუალოდ ხალხს მიუწვდებოდეს ხელი და არ იყოს თვით ისეთი მოუსყიდავი პიროვნების იმედად, როგორიც სტალინი გახლდათ, რადგან, ჯერ ერთი, სტალინისნაირი პიროვნება ათას წელში ერთხელ ან იბადება ან არა, და მეორეც, იგი უკვდავი ვერ იქნება.

ხელისუფლების არჩევის უფლების აღდგენა რევოლუციური მონაპოვარია ხალხისა. „აღდგენა“ იმას გულისხმობს, რომ თავდაპირველად იყო „ხმა ღვთისა და ხმა ერისა“, რაც მეფეებმა, „ერის“ ანუ ხალხის უფლების უზურპაციის გასამართლებლად, „ღვთისნებაობის“ მითით ჩაანაცვლეს. მაგრამ მას შემდეგ, რაც ჯონ ლოკმა (1632-1704) გააქარწყლა „ღვთისნებაობის“ მითი და ევროპელმა განმანათლებლებმა საფუძველი გამოაცალეს მონარქიის ლეგიტიმურობას, მოხდა საფრანგეთის დიდი რევოლუცია და ხალხმა აღიდგინა ხელისუფლების არჩევის უფლება. მაგრამ ხელისუფლების არჩევის უფლება საკმარისი არ აღმოჩნდა. ამ უფლების განხორციელებისთვის, საჭიროა ხელისუფლების კონტროლის უფლებაც.

დემოკრატია, როგორც ხალხის ძალაუფლება, ხალხის მიერ ხელისუფლების არჩევის უფლებასთან ერთად, მისი კონტროლის უფლებასაც ნიშნავს, კონტროლის მექანიზმის არარსებობა კი აზრს უკარგავს ხელისუფლების არჩევის უფლებასაც, დემოკრატიასაც და რევოლუციასაც.

უინსტონ ჩერჩილის აზრით, „დემოკრატია მმართველობის საუკეთესო ფორმა არ არის, მაგრამ კაცობრიობას უკეთესი ჯერ არ გამოუგონია“. კაცობრიობას რომ უკეთესი ჯერ არ გამოუგონია, ეს გასაგებია. მაგრამ რა აკლია დემოკრატიას, რომ მმართველობის საუკეთესო ფორმაც იყოს? ამის შესახებ ჩერჩილი არაფერს გვეუბნება.

ჩემი ფიქრით, დემოკრატიის ნაკლი ის არის, რომ საქმე თავდება ხელისუფლების არჩევით და ხალხს იმის ბერკეტი აღარ რჩება, რომ აკონტროლოს იგი. ხოლო თუ ხალხს კონტროლის ბერკეტიც ექნა, შეგვეძლება, ვთქვათ, რომ დემოკრატია, საუკეთესო გამოგონებასთან ერთად, მმართველობის საუკეთესო ფორმაც არის!



**ომარ ხახაშვილი**
ბელგია, ვარეგემი

*(გაგრძელება ხვალის ნომერში)*

ბრიყვი მიუშვეს ნებასა...
და ჩვენ შეგვყარა სნებასა!





# ზურაბ მარშანია: სააკაშვილი უკრაინასა და საქართველოს შორის ნეგატიური ტენდენციების გასაღრმავებლად გამოიყენეს!

*„ნაცვლად იმისა, რომ თავისი სამშობლოსთვის კარგი გაეკეთებინა, ძალიან დიდი ზიანი მიაყენა. ნამდვილად არ ვიცი, თავში რა ედო, მაგრამ ფაქტია, რომ სააკაშვილი იარაღად გამოიყენეს, რათა ნეგატიური ტენდენციები, რომლებიც განვითარდა ჩვენს ქვეყნებს შორის, გაღრმავებულიყო“, — აცხადებს საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანი, საქართველოს ყოფილი გენერალური კონსული უკრაინაში ზურაბ მარშანია, რომლის განცხადებით, სააკაშვილის გადასაწყვეტი არ უნდა იყოს, თუ როგორ განვითარდება საქართველო-უკრაინის თანამშრომლობა.*

*დღეს ზურაბ მარშანიას გვესაუბრება.*

**— ხელისუფლების შეცვლის შემდეგ საქართველო-უკრაინის თანამშრომლობა, როგორც სტრატეგიულ, ასევე პიროვნულ დონეზე, რთულად ვითარდება. არ ყოფილა არც ერთი მაღალი დონის ვიზიტი, თუ არ ჩავთლით დავოსის ფორუმის ფარგლებში პეტრო პოროშენკოსა და გიორგი კვირიკაშვილის შეხვედრას. რა გახდა უკრაინა-საქართველოს შორის ვითარების გართულების მიზეზი და ეს ვითარება რამდენად აზიანებს ამ ორი სტრატეგიული ქვეყნის ინტერესებს?**

— გეთანხმებით, რომ ჩვენს პარტნიორობას აქვს სტრატეგიული ხასიათი. უკრაინა ერთ-ერთი პირველი ქვეყანა იყო, რომელმაც სცნო საქართველოს დამოუკიდებლობა ჯერ კიდევ ზვიად გამსახურდიას დროს. ასეთი მჭიდრო სიახლოვე და პროდუქტიული თანამშრომლობა, რომელიც იყო წლების განმავლობაში, ყოველთვის ქმნიდა დიდ ვალდებულებას. თანამშრომლობის დონე მუდამ მჭიდრო და პროდუქტიული იყო.

ახლაც იგივეა, მაგრამ როგორც გითხარით, თამასა იყო ძალიან მაღლა აწეული და აუცილებელი გახდა თამასის ამ დონეზე დაჭერა. მაგრამ, სამწუხაროდ, მოხდა ის, რაც თქვენ სრულიად სამართლიანად აღნიშნეთ, რომ ორმხრივი ურთიერთობის განვითარების დინამიკა, რომელიც იყო წინა წლებში, ახლა ასეთი არ არის. შორს ვარ იმ აზრისაგან, რომ იმდენად გაფუჭდა ურთიერთობა, რომ ამის გამოსწორება არ შეიძლება.

**— საქართველოსა და უკრაინას შორის დღეს არსებული პოლიტიკური ვითარება, შეიძლება დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს?**

— როდესაც ვამბობ, რომ თამასა ძალიან მაღლა იყო აწეული, თანაბრად როგორც საქართველოს, ასევე უკრაინის ვალდებულება იყო, რომ ეს თამასა არა თუ დაეჭირათ, არამედ კიდევ უფრო მაღალ დონეზე აეწიათ ჩვენი თანამშრომლობის სტანდარტები.

**— იყო ამის წინაპირობა?**

— იყო, რა თქმა უნდა, მაგრამ ვერ მოხერხდა. მიზეზი კომპლექსურია, არ შეიძლება მხოლოდ ერთ მიზეზს დავაბრალოთ, კერძოდ, უკრაინაში ხელისუფლების შეცვლას. მერე რა, რომ შეიცვალა ხელისუფლება. მოვიდა გაცილებით უფრო პროდასავლური ხელისუფლება, რომელსაც ჰქონდა უფრო გამჭვირვალე პროდასავლური კურსი, რომელთანაც კონტაქტები ჯერ კიდევ იმ პერიოდში არსებობდა, როდესაც ისინი ოპოზიციაში იყვნენ.

შესაბამისად, ყველა წინა პირობა იყო იმისათვის, რომ ვითარება პოზიტიური მიმართულებით განვითარებულიყო, ვიდრე არის. მე არ ვიძახი, რომ სტაგნაციის მდგომარეობაში ვართ, ან პირიქით რეგრესია. ასე არ არის, მაგრამ ის ტემპი და დინამიკა, რაც დაიკარგა, შეიძლებოდა ამის თავიდან აცილება. როდესაც სერიოზული მოვლენა ხდება, მით უმეტეს საერთაშორისო ურთიერთობებში, ამას არა აქვს ერთი მიზეზი, მიზეზების მთელი კომპლექსია.

**— შეგიძლიათ, ამ მიზეზებს შორის გამოვყოთ ძირითადი მიზეზები?**

— რასაკვირველია. რამდენიმე მიზეზია და სხვათა შორის, ეს არაა მხოლოდ ერთი მხარის მიერ განპირობებული. ორივე მხარის მიერ იყო დაშვებული საკმაოდ სერიოზული შეცდომები. არ აქვს მნიშვნელობა პირველი ვინ დაუშვა შეცდომა. როდესაც ვიღაცა შეცდომას უშვებს, შენ იმით არ უნდა იყო დაინტერესებული, რომ ეს შეცდომა უფრო გაღრმავდეს, პირიქით, დიპლომატიაში აუცილებელია ნეიტრალიზება. როდესაც შენი პარტნიორი რაღაცაში ცდება, შენ ყველაფერი უნდა გააკეთო, რომ ეს შეცდომა მაქსიმალურად შენი ხელშეწყობით გამოასწოროს. მაგრამ ვერ მოხდა ასეთი რამ.

**— როდესაც შეცდომაზე ვსაუბრობთ, უნდა ითქვას, რომ შეცდომა იყო დაშვებული უკრაინის ხელისუფლების მიერ, როდესაც საქართველოს პროკურატურის მიერ ძებნილ ადამიანებს მაღალი თანამდებობები შესთავაზა?**

— რა თქმა უნდა, ეს იყო სერიოზული შეცდომა. უკრაინა მეგობარი სახელმწიფოა, არის და დარჩება ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორად, მაგრამ ჩვენი საქმე არ არის უკრაინის შიდა საქმეებში ჩარევა. უკრაინას აქვს უფლება, თავად მიიღოს გადაწყვეტილება ნებისმიერ საკითხზე, არანაირი უფლება არა აქვს საქართველოს ან რომელიმე სხვა სახელმწიფოს ამაში ჩაერიოს.

საქართველო და უკრაინა დაინტერესებული არიან, შეინარჩუნონ და გაარღმავონ თანამშრომლობა, მაგრამ ასეთ დროს საეჭვო პოლიტიკური ბეგრაუნდის მქონე პიროვნების — ბატონი სააკაშვილის და მის ე.წ. გუნდის უმაღლეს თანამდებობაზე დანიშვნა და უკრაინის მოქალაქეობის მინიჭება, ცხადია, ხელს არ უწყობს საქართველო-უკრაინის ურთიერთობების გაუმჯობესებას. მაგრამ, მოდით, ვთქვათ ასე, მარტო უკრაინა იყო ამაში დამნაშავე, იმ უმსგავსობაზე რაც ხდება, გახსოვთ რამე რეაგირება საქართველოს საგარეო პოლიტიკური უწყების მხრიდან, თუნდაც სააკაშვილის გუბერნატორად დანიშვნაზე? არა!

**— ამ შემთხვევაში რა რეაგირება შეეძლო საგარეო უწყებას? ვიცით, რომ უკრაინის ელჩი იყო დაბარებული საგარეო უწყებაში...**

— შეიძლება ზუსტი ინფორმაცია არ მაქვს, მაგრამ ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით, რაიმე სერიოზულ რეაგირებაზე ლაპარაკი ზედმეტია. იყო რაღაცა რბილი განცხადება. ერთხელ ელჩი დაიბარეს ახსნა-განმარტებების მისაღებად, მაგრამ ამას რა შედეგი მოჰყვა, არავინ იცის.

**— მაშინ იყო ასეთი არგუმენტი, რომ უკრაინა ჩვენი მეგობარია და არ უნდა ვაწყენინოთ ეს, ალბათ, არ იყო სწორი...**

— რას ჰქვია, არ უნდა ვაწყენინოთ? უნდა გააკეთო ის, რასაც საერთაშორისო ურთიერთობის ნორმები ამბობს. ასეთ შემთხვევაში თავიდან ავიცილებდით უფრო ნეგატიურ შედეგს. როცა პირველი რეაქცია არ მივეცით, მოხდა ის, რომ სააკაშვილი ვიხილეთ ოდესის გუბერნატორად. ვთვლი, რომ ორივე მხარეს აქვს სერიოზული შეცდომები დაშვებული. უკრაინამ დაუფიქრებლად გადადგა ასეთი ნაბიჯები, მაგრამ ეს მათი სუვერენული ნებაა და ჩვენ ვერ ჩავერეოდით, მაგრამ ჩვენი საგარეო პოლიტიკური უწყების ვალდებულება იყო, რომ ადეკვატური რეაგირება გაეკეთებინა.

ყველაფრის გამოსწორება დღესაც შეიძლება, მაგრამ გამოსწორება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც აბსოლუტურად ნათელ მოვლენებს თავისი სახელი დაერქმევა.

ძალიან კარგი გადაწყვეტილება იყო საქართველოს ხელისუფლების მხრიდან, სააკაშვილისთვის საქართველოს მოქალაქეობის ჩამორთმევა, ეს იყო სწორი რეაგირება. ცოტა ადრე რომ გაგვეკეთებინა აქტიური რეაგირება, საქმე აქამდე არ მივიდოდა.

**— ძალიან მნიშვნელოვანია ორი სტრატეგიული ქვეყნის თანამშრომლობა, მაგრამ ფაქტია, რომ კონკრეტული პოლიტიკური ძალა, რომლის ლიდერიც მიხეილ სააკაშვილია, ცდილობს დაპირისპირების გაღრმავებას.**

— მიხეილ სააკაშვილს თავი დავანებოთ, მისთვის დიდი პატივია მასზე ამდენი ლაპარაკი. ვილაპარაკოთ უფრო მსხვილ რეგიონალურ მოთამაშეებზე, ეს არაა ერთი მოთამაშე, აქ ლაპარაკია ორ ძალიან მსხვილ სტრატეგიულ მოთამაშეზე შვი ზღვის რეგიონში — რუსეთი და თურქეთი. აი, მათ ნამდვილად ხელს არ აძლევდა საქართველოსა და უკრაინის აქტიურობა შავი ზღვის რეგიონული განვითარების საქმეში. საქართველო-უკრაინის დინამიკის გაუარესებამ წყალი მიუშვა იმ ქვეყნების წისქვილზე, რომელთაც არ სურთ ორი ქვეყნის მეგობრობა.

აქ სააკაშვილის ფაქტორიც მუშაობდა, მაგრამ ეს არის წვრილმანი, მით უმეტეს ახლა, როცა ის საქართველოს მოქალაქე არ არის. ვინ არის საერთოდ დღეს სააკაშვილი? — ეს იკითხონ მისმა მხარდამჭერებმა, თუმცა ვნახეთ, რომ მათ გუნდშიც მოხდა განხეთქილება. ცუდი რა არის, იცით? — ძალიან ცუდია, რომ სააკაშვილი ოდესღაც ქართველი პოლიტიკოსი იყო.

დღეს აღარ არის ქართველი პოლიტიკოსი, დღეს უკრაინელი პოლიტიკოსია. ნაცვლად იმისა, რომ თავისი სამშობლოსთვის კარგი გაეკეთებინა, ძალიან დიდი ზიანი მიაყენა. ნამდვილად არ ვიცი, თავში რა ედო, მაგრამ ფაქტია, რომ სააკაშვილი გამოყენებული იქნა იარაღად იმისათვის, რომ ეს ნეგატიური ტენდენციები, რომელიც ჩვენს ქვეყნებს შორის განვითარდა, გაღრმავებულიყო.

**— შანსი, რომ საქართველო-უკრაინის ურთიერთობა უფრო აქტიური გახდეს, არსებობს?**

— ნამდვილად არსებობს ამის რეალური შანსი. მიმაჩნია, რომ ამისათვის საჭიროა ძალიან სერიოზული ძალისხმევა, პირველ რიგში, ამ ძალისმევით დაკავებული უნდა იყვნენ საქართველოსა და უკრაინის საგარეო პოლიტიკური უწყებები. სააკაშვილის გადასაწყვეტი არ უნდა იყოს, როგორ განვითარდება საქართველო-უკრაინის თანამშრომლობა, ამის თავი მაინც უნდა გვქონდეს ჩვენ.

**— რა შანსები აქვს სააკაშვილს, რომ როგორც პოლიტიკოსი შედგეს უკრაინაში?**

— რა პრესპექტივები აქვს უკრაინაში, ეს დამოკიდებულია უკრაინელ ამომრჩეველზე. სხვათა შორის, იქაც ახერხებს მოსახლეობის შეცდომაში შეყვანას, როგორც საქართველოში. შეიძლება რაღაცას მიაღწიოს და შეძვრეს რადაში, მაგრამ იმ ინფორმაციიდან გამომდინარე, რასაც უკრაინიდან ვფლობ, ეჭვი მეპარება, რომ სერიოზული პოლიტიკური პერსპექტივა ჰქონდეს.

**ესაუბრა**
**თამთა ქარჩავა**

# ბელარუსი და ქართველი ძალოვნების ერთობლივი ბრძოლა დანაშაულის წინააღმდეგ

**შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი მღებრიშვილი ბელარუსის რესპუბლიკის საგამოძიებო კომიტეტის თავმჯდომარე ივან ნოსკევიჩს შეხვდა.**

შეხვედრაზე შს მინისტრმა ხაზი გაუსვა ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით საქართველოს და ბელარუსის სამართალდამცავი უწყებების მჭიდრო და ნაყოფიერ თანამშრომლობას, რაც ორ ქვეყანას შორის საპოლიციო სფეროში დადებული შეთანხმებების საფუძველზე ხორციელდება.

როგორც გიორგი მღებრიშვილმა აღნიშნა, ბელარუსის რესპუბლიკაში საქართველოს შს სამინისტროს პოლიციის ატაშეს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს, როგორც ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით თანამშრომლობის გაღრმავებაში, ასევე, ორი ქვეყნის სამართალდამცავ უწყებებს შორის ინფორმაციის ოპერატიულად გაცვლაში.

შს მინისტრმა სტუმარს სამინისტროში განხორციელებული და დაგეგმილი რეფორმები გააცნო, მათ შორის, მაღალტექნოლოგიური და მულტიფუნქციური ერთობლივი ოპერაციების ცენტრი, რომლის შექმნის მიზანი პოლიციის საქმიანობაში მაღალი ტექნოლოგიების როლის გაზრდა და დანაშაულის პრევენციის გაუმჯობესებაა.

**გიორგი მღებრიშვილმა შსს-ს აკადემიის რეგიონულ-საგანმანათლებლო ცენტრად ჩამოყალიბების პროექტის შესახებაც ისაუბრა. შეხვედრაზე შს მინისტრმა და ბელარუსის რესპუბლიკის საგამოძიებო კომიტეტის თავმჯდომარემ ხელი მოაწერეს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ბელარუსის რესპუბლიკის საგამოძიებო კომიტეტს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს.**



## შემოსავლების სამსახური მოვაჭრეებს ხანძრის შედეგად განადგურებულ სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობებს ჩამოაწერს

ბავშვთა სამყაროს" ხანძრის შედეგად დაზარალებულების საგადასახადო ვალდებულებებისა და დავალიანებების შესწავლა ინდივიდუალურად მოხდება. ამის შესახებ ფინანსთა მინისტრის მოადგილემ ლაშა ხუციშვილმა განაცხადა.

**„მას შემდეგ, რაც მოხდება განადგურებული პროდუქციის მოცულობისა და ზიანის დადგენა, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური უსწრაფეს რეჟიმში მოახდენს სასაქონლო მატრიალური ფასეულობის ჩამოწერას გადამხდელებზე იმისთვის, რომ მათ საგადასახადო ვალდებულებები აღარ წარმოექმნას განადგურებულ საქონელზე. გარდა ამისა, უკვე შემდგომ პერიოდში ინდივიდუალურად მოხდება შესწავლა თითოეული ამ გადამხდელის საგადასახადო ვალდებულებების და საგადასახადო დავალიანებების. ამის შემდეგ ინდივიდუალურად იქნება გადაწყვეტილება მიღებული. იქიდან გამომდინარე, რომ მომავალ საქმიანობაში პრობლემა არ შეიქმნას“,** — განაცხადა ლაშა ხუციშვილმა.

## რამდენიმე ბაზრობა მზადაა, ბავშვთა სამყაროს დაზარალებულ მოვაჭრეებს დახლები დაუთმოს

თბილისის მერიაში საკოორდინაციო შეხვედრა ჩატარდა, სადაც დედაქალაქის მერმა განაცხადა, რომ რამდენიმე ბაზრობა მზადაა, „ბავშვთა სამყაროს" დაზარალებული მოვაჭრეებს დახლები დაუთმოს.

**„რამდენიმე ბაზრობამ შემოგვთავაზა ალტერნატიული ფართი, სადაც 3-დან 6 თვემდე ქირის გარეშე შეეძლებათ ამ ადამიანებს, რომ გამოიყენონ დახლები, რაც მათ მდგომარეობას შეამსუბუქებს“,** — განაცხადა დავით ნარმანიამ. მისივე თქმით, ასეთ დროს მნიშვნელოვანია რამდენიმე უწყების აქტიური ჩართულობა:



**„ფინანსთა სამინისტრომ უნდა იმუშაოს დაზიანებული საქონლის ჩამოწერაზე. ეროვნული ბანკის და საბანკო სექტორის ჩართულობა საჭიროა, რომ კომერციულმა ბანკებმა გამოიჩინონ სოლიდარული პასუხისმგებლობა და გადაუვადონ ამ ადამიანებს კრედიტები,“** — განაცხადა ნარმანიამ და აღნიშნა, რომ ყველა შეკითხვას, რაც საზოგადოებას უჩნდება, პასუხი უნდა გაეცეს. თბილისის მერმა განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა მეხანძრე-მაშველებს.

## კომპენსაციის გაცემის საკითხს მერია არ განიხილავს!

**თბილისის მერის მოადგილე ირაკლი ლექვინაძე „ბავშვთა სამყაროს“ მეწარმეების 3 წარმომადგენელს შეხვდა. დედაქალაქის მერიაში გამართულ შეხვედრაზე დაზარალებულებმა მერიის პოზიცია კიდევ ერთხელ მოისმინეს და არსებული გარემოებების გადაჭრის გზებზე მერის მოადგილეს საკუთარი ხედვები გააცნეს.**

ირაკლი ლექვინაძის თქმით, ამ დროისათვის, სხვადასხვა უწყების წარმომადგენლებით დაკომპლექტებული სამუშაო ჯგუფი მეწარმეებისთვის ალტერნატიული ფართების შეთავაზებასთან ერთად, საბანკო დაწესებულებებთან შუამდგომლობისა და საგადასახადო ვალდებულებების შემსუბუქების საკითხებზე მსჯელობს. მისივე განცხადებით, უახლოეს დღეებში



ბაზრობების დირექტორები თბილისის მერიას წარუდგენენ იმ ობიექტების ჩამონათვალს, სადაც დაზარალებულები შეღავათიანი პირობებით სარგებლობას შეძლებენ.

**„ჩვენ გვქონდა შეხვედრა იმ მეწარმეებთან, რომლებიც „ბავშვთა სამყაროს“ ტერიტორიაზე ტანსაცმლითა და აქსესუარებით ვაჭრობდნენ. მათი ქონება, შესაძლოა ითქვას, სრულად არის განადგურებული. ჩვენ მათ გავაცანით ყველა ის შესაძლებლობა, რომელსაც თბილისის მერია სთავაზობს დაზარალებულებს სხვადასხვა უწყებებთან ერთად, კერძოდ, ეს არის ალტერნატიული სავაჭრო წერტილები სხვადასხვა ბაზრობის ტერიტორიებზე, საბანკო ვალდებულებების რესტრუქტურიზაცია/გადავადება და საგადასახადო ვალდებულებების შემსუბუქება, რაზეც ფინანსთა სამინისტრო მსჯელობს. გარდა ამისა, ჩვენ განვიხილავთ მათ მიერ დაყენებულ მნიშვნელოვან საკითხებს, აქტიურ კომუნიკაციაში ვართ დაზარალებულებთან, რათა გარკვეულ ჯგუფებს არ ჰქონდეთ ინფორმაციის არასწორი ინტერპრეტირების საშუალება. უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის შეხვედრებზე მიღებულ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით ისინი მუდმივ რეჟიმში იქნებიან ინფორმირებულნი. კომპენსაციის გაცემის საკითხი მერიის მხრიდან არ განიხილება, რადგან ეს ადამიანები არიან მეწარმეები, დღეს თბილისში 500 000-ზე მეტი მეწარმეა რეგისტრირებული და თითოეული მათგანის ქონების დაცვის საკითხს, რაც რეალურად არის სადაზღვევო სისტემის ნაწილი და ამ სისტემით უნდა ხდებოდეს მათი ანაზღაურება, მერია კომპენსაციით ვერ მოაგვარებს“,** — განაცხადა ირაკლი ლექვინაძემ.

„ბავშვთა სამყაროს“ მეწარმეებმა მერის მოადგილეს, თავის მხრივ, ე.წ. „იაფი სესხის“ საკითხთან დაკავშირებით ბანკებთან მოლაპარაკებაში დახმარება სთხოვეს. აღნიშნულ საკითხს ირაკლი ლექვინაძე უახლოეს პერიოდში სამუშაო ჯგუფთან ერთად განიხილავს. ინფორმაციას თბილისის მერია ავრცელებს.



## „ბავშვთა სამყაროს“ დაზარალებულმა მოვაჭრეებმა თბილისის მერიის შენობაში შეჭრა სცადეს

„ბავშვთა სამყაროში“ გაჩენილი ხანძრის შედეგად დაზარალებულმა მოვაჭრეებმა გუშინ თბილისის მერიის შენობაში შეჭრა სცადეს, თუმცა დაცვის თანამშრომლებმა შენობაში მხოლოდ სამი მათგანი შეუშვეს.

## მოვაჭრეებისთვის მერიის შეთავაზება მიუღებელია, დაზარალებულები თანხას და ზარალის ანაზღაურებას ითხოვენ

**დაზარალებული მოვაჭრეებისთვის მერიის შეთავაზება მიუღებელია.** დედაქალაქის მთავრობა დაზარალებულებს ალტერნატიული ფართს და სესხების გადავადებას სთავაზობს, თუმცა მოვაჭრეები თანხის მიღებას და ზარალის ანაზღაურებას ითხოვენ.

## „ბავშვთა სამყაროს“ აქციონერები წლის მოგებას დაზარალებულებს გადაუნაწილებენ

„ბავშვთა სამყაროს“ აქციონერთა უმეტესობა თანახმა ვართ, მიმდინარე წლის მოგება უკლებლივ გადავუნაწილოთ დაზარალებულ ხალხს, — განუცხადა ჟურნალისტებს „ბავშვთა სამყაროს“ ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა გიორგი მაჭავარიანმა:

**„ყოველ წელს აქციონერები ვინაწილებთ დივიდენდებს, ანუ მიმდინარე წლის მოგებას. ჩვენ, აქციონერთა უმეტესობას გადაწყვეტილი გვაქვს მოვიწვიოთ კრება, სადაც აღნიშნულ წინადადებას გავაჟღერებთ. იმ შემთხვევაში, თუ ყველა აქციონერი დათანხმდება ამ პირობას, მაშინ ჩვენ მოვახდენთ მიმდინარე წლის მოგების დაზარალებული ხალხისთვის გადანაწილებას. თუმცა აღსანიშნავია ის, რომ ეს გადაწყვეტილება მისაღები იქნება ინდივიდუალურად და არ იქნება სავალდებულო“,** — განაცხადა გიორგი მაჭავარიანმა.

# მასშტაბური ხანძრები საქართველოში

საქართველოში ბოლო 5 წლის განმავლობაში არაერთი მასშტაბური ხანძარი გაჩნდა, რომლის შედეგადაც სავაჭრო და გასართობი ობიექტები დაიწვა:

**1. ხანძარი ლილოს ბაზრობაზე** – 2012 წლის 15 ნოემბერს ლილოს ბაზრობის ტერიტორია დაიწვა. განადგურდა, დაახლოებით, 30-მდე სავაჭრო ობიექტი

**2. ხანძარი სავაჭრო ცენტრ „საბაში“** – 2013 წლის 26 თებერვალს გაჩენილი ხანძრის შედეგად, დაახლოებით, 5 000-7 000 კვ.მ. ფართობი დაიწვა.

**3. ხანძრის შედეგად დამწვარი ევროპარკი** – თბილისში 2013 წლის 16 ივლისს გაჩენილი ხანძრის შედეგად სამი შენობა დაიწვა

**4. ხანძარი სენაკის ბაზრობაზე** – 2014 წლის 25 აგვისტოს გაჩენილმა ხანძარმა 3 ათას კვადრატულ მეტრამდე ტერიტორია გაანადგურა, დაიწვა, დაახლოებით, 250-მდე მოვაჭრის საქონელი.

**5. ხანძარი ბოშათა ბაზრობაზე** – 2014 წლის 16 სექტემბერს, ვაგზლის მოედანზე ე.წ. ბოშათა ბაზრობა დაიწვა, ხანძრის შედეგად, დაახლოებით, 2500 კვ.მ ფართობი დაიწვა.

**6. ხანძარი ხოფას ბაზრობაზე** – 2014 წლის 7 დეკემბერს ბათუმში ე.წ. ხოფას ბაზრობაზე ხანძარი გაჩნდა, რის შედეგადაც დაშავდა 2 მოვაჭრე

**7. ხანძარი ელიავას ბაზრობაზე** – 2014 წლის 27 დეკემბერს ელივას ბაზრობაზე ხანძარი გაჩნდა, რის შედეგადაც ბაზრობის ნაწილი დაიწვა

**8. ხანძარი ისნის ბაზრობაზე** – 2015 წლის 21 იანვარს ისნის ბაზრობას ცეცხლი მოედო, რის შედეგადაც 15-მდე მაღაზია დაიწვა.

**9. ხანძარი ელიავას ბაზრობაზე** – 2015 წლის 4 აგვისტოს ელიავას ბაზრობაზე ხანძარი გაჩნდა. ცეცხლი საღებავების საწყობს გაუჩნდა.

**10 ხანძარი „შავ“ ბაზრობაზე** – 2016 წლის 2 აგვისტოს ზესტაფონის ბაზარში ხანძარი გაჩნდა, რის შედეგადაც, თითქმის, მთელი ბაზრობა დაიწვა.

**11. ხანძარი ბავშვთა სამყაროს შენობაში** – ცეცხლი მთელ შენობას მოედო და ის მთლიანად დამწვარია. დაზარალდა ათეულობით ადამიანი.



◉ ჩოგბურთი

## ნიკოლოზ ბასილაშვილი:
# საკუთარი გულშემატკივრების წინაშე ვთამაშობთ და ყველანი მოტივირებულნი ვართ

**დევისის თასის გათამაშების ევრო-აფრიკული ზონის მეორე ჯგუფის შეხვედრა საქართველოსა და ფინეთის ნაკრებებს შორის 3-5 თებერვალს თბილისის ოლიმპიურ სასახლეში გაიმართება. მატჩის ოფიციალური პრესკონფერენცია გუშინ მოეწყო, კენჭისყრა კი ხვალ 12 საათზე თბილისის საკრებულოშია დაგეგმილი.**

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ტარიელ ხეჩიკაშვილი ნაკრების ვარჯიშს საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ალექსანდრე მეტრეველთან ერთად დაესწრო და ეროვნულ ნაკრებს ფინეთთან მოახლოებული დევისის თასის გათამაშების ევრო-აფრიკული ზონის მეორე ჯგუფის მატჩის წინ წარმატება უსურვა.

**ტარიელ ხეჩიკაშვილი (სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი):** „მსურს ყველა გულშემატკივარს მოვუწოდო მობრძანდნენ დევისის თასის გათამაშების მატჩებზე და უგულშემატკივრონ ჩვენს ჩოგბურთელებს. არაერთხელ ვნახეთ, წარმატებისათვის რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს აქტიურ მხარდაჭერას მაყურებელთა მხრიდან და ქომაგების დიდი თანადგომით ამ სასახლეში სპორტის სხვადასხვა სახეობაში არაერთი გამარჯვებაც გვაქვს მოპოვებული. იმედია, ჩვენ ყველანი დამატებით მუხტს მივცემთ ჩოგბურთელებს და გულშემატკივრებთან ერთად ხელს შევუწყობთ მათ კიდევ ერთ წარმატებაში.“



**ალექსანდრე მეტრეველი (საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტი):** „სახლში ვთამაშობთ და მაყურებლის დიდი იმედი გვაქვს. გუნდი სრულ მზადყოფნაშია. კარგ ფიზიკურ ფორმაშია ნაკრების ლიდერი ნიკოლოზ ბასილაშვილი, ასევე კარგ კონდიციაშია გიორგი ცივაძეც, ხოლო გუნდის კაპიტანი დავით კვერნაძე მაქსიმალურად იხარჯება იმისათვის, რომ ყველაფერი რიგზე იყოს. ასევე აღსანიშნავია, რომ შემოგვიერთდა ირაკლი ლაბაძე, რომელიც გუნდის ხელმძღვანელი იქნება. ასე რომ, საერთო ჯამში ყველანი მაქსიმალურად ვმუშაობთ და იმედიანად ვართ განწყობილნი“.

**ნიკოლოზ ბასილაშვილი (საქართველოს ჩოგბურთელთა ნაკრების ლიდერი):** „საკუთარი გულშემატკივრების წინაშე ვთამაშობთ, რაც ძალიან მნიშვნელოვანია და ყველანი მოტივირებულნი ვართ. ყველას მოვუწოდებ, რომ მხარი დაგვიჭირონ და გვიგულშემატკივრონ, ჩვენის მხრივ კი გპირდებით, ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ გამარჯვება მოვიპოვოთ.“

საქართველოს ნაკრები ასეთი შემადგენლობით ითამაშებს: ნიკოლოზ ბასილაშვილი (89-ე ATP მსოფლიო რეიტინგში) გიორგი ცივაძე (819-ე), ზურაბ ტყემალაძე (17 წლის, ურეიტინგო), ვაჟა შუბლაძე (18 წლის, ურეიტინგო), კაპიტანი დავით კვერნაძე. ფინეთთან გამარჯვების შემთხვევაში საქართველოს ნაკრები პირველ ზონაში გადასასვლელად ლიტვა-მადაგასკარს შორის გამარჯვებულს შეხვდება.

მაყურებელთა დასწრება თავისუფალია

**ბეჟან დოლიძე**

◉ რაგბი



# ზირაქაშვილი და კოლელიშვილი ბორდოში დაშავდნენ

**„ბორდოსთან“ გასვლითი მატჩი (23:23) უაღრესად რთული გამოდგა „კლერმონისთვის“. ამ მატჩში რამდენიმე კლერმონელმა ტრავმა მიიღო, მათ შორის — ორივე ქართველმაც.**

თამაშის დებიუტშივე, როცა ბორდოელი ლუკ ბრეიდი პირველ ლელოს დებდა, მას ერთ-ერთი კლერმონელი ბოჭავდა, ვის დასახმარებლადაც გადამხტარი თანაგუნდელები ერთმანეთს თავებით შეასკდნენ. ერთი მორგან პარა იყო და მეორე — ვიქტორ კოლელიშვილი. საფრანგეთის ნაკრების ბომბარდირმა და ქართველმა მესამეხაზელმა თამაში ვეღარ გააგრძელეს, ორივეს ტვინის შერყევის სიმპტომები ჰქონდა და ექიმებმა თამაშის გაგრძელების ნება არ დართეს.

ახლა ორივე კარგადაა — კოლელიშვილიც და პარაც, თუმცა, უახლოეს დღეებში ორივეს დამატებითი ტესტირების გავლა მოუწევს. ასეთი წესია ფრანგულ ტოპ 14-ში.

პირველი ტაიმის მიწურულს დავით ზირაქაშვილიც დაშავდა — ვეტერან ბურჯს შერკინებისას მეტოქის ხელი სახეში მოხვდა. როგორც „კლერმონის“ ოფიციალური საიტი წერს, დათოს თვალში სისხლი ჩაექცა და ყვრიმალი დაუსივდა. ზირაქაშვილი ბორდოს გადაუდებელი სამედიცინო დახმარების კლინიკის ოფთალმოლოგიურ განყოფილებაში გადაიყვანეს, სადაც სახის და თვალის დაზიანება დაუდგინეს, თუმცა, იმ საღამოსვე მორაგბე თანაგუნდელებს შეუერთდა. ექიმების თქმით, სახის ტრავმა უმნიშვნელოა, თვალის გუგა კი დაუზიანდა, მაგრამ მდგომარეობა საგანგაშო არაა, თუმცა, ზირაქაშვილს მკურნალობა მაინც მოუწევს.

ასევე დაშავდა კლერმონელთა ფიჯელი გარემარბი ალივერეტი რაკა. მას ტერფის მყესები აქვს დაჭიმული.

**კობა კობახიძე**

◉ კალათბურთი

# ბითაძის 23 ქულა და 13 მოხსნა

**მორიგი შედეგიანი მატჩი გამართა 17 წლის გოგა ბითაძემ სერბეთში, იუნიორთა ჩემპიონატის ცენტრალურ შეხვედრაში. ქართველი ცენტრის „მეგა ლეკსი“ ჩემპიონატის ლიდერ „ცრვენა ზვეზდას“ სტუმრად შეხვდა და მიუხედავად იმისა, რომ პირველ მეოთხედში 28:11 გაანადგურა, საბოლოოდ მაინც დამარცხდა — 70:84.**

მატჩის საუკეთესო ინდივიდუალური შედეგი დამარცხებული გუნდიდან დაფიქსირდა და ის გახლდათ ქართველი კალათბურთელი. ბითაძემ სასტარტო ხუთეულში ითამაშა და 31 წუთში 16-დან 6 ორქულიანი და 13-დან 11 საჯარიმო ჩააგდო, ხოლო 1 სამქულიანი ააცილა. 23 ქულას გოგამ 13 მოხსნა (5 მეტოქის ფარზე) და 4 დაფარება წაამატა. ქართველმა ცენტრმა ბურთი 3-ჯერ დაკარგა და 4 პერსონალური ფოლი მიიღო, მის წინააღმდეგ კი ერთბაშად 13-ჯერ (!) დაჯარიმდნენ. ბითაძის სარგებლიანობის კოეფიციენტი 33-ს გაუტოლდა და ამ შედეგით ის მოედანზე მყოფთაგან საუკეთესო იყო.

10 მატჩიდან „მეგა ლეკსს“ 7 მოგება აქვს და ცხრილში მე-3 ადგილზეა. მომდევნო მატჩს გოგას გუნდი 4 თებერვალს შინ ჩაჩაკის “„მლადოსტთან“ გამართავს.

**ვიტალი ჯაფარიძე**



◉ ფეხბურთი

## გიორგი მაკარიძე:
# გამიხარდა, მაგრამ ზომიერად...

**პორტუგალიურმა „მორეირენსემ“ და გიორგი მაკარიძემ პორტუგალიის ლიგის თასი მოიგეს. აღნიშნული ჯილდო პორტუგალიური გუნდის ისტორიასა და ქართველი მეკარის კარიერაში სადებიუტო გახლდათ.**



„მორეირენსეს“ წარმატება მით უფრო დასაფასებელია იმის გათვალისწინებით, რომ ამ გუნდმა ფინალამდე ლუზიტანური ფეხბურთის გრანდები „პორტუ“ და „ბენფიკა“ დაამარცხა, ხოლო ფინალში საკმაოდ მძლავრი „ბრაგაც“ მათ გზას გაუყენა. სხვათა შორის, სამივე ზემოხსენებული შეხვედრა დიდებულად ჩაატარა 26 წლის მაკარიძემ.

„ალბათ, მოტივაცია ჩვენ უფრო დიდი გვქონდა, ვიდრე „პორტუს“, „ბენფიკასა“ და „ბრაგას“. ნახევარფინალში გვეგონა, რომ წავაგებდით და უფრო ჩემპიონატის თამაშზე ვფიქრობდით, თუმცა, ჩვენ, რა თქმა უნდა, გვჯეროდა ჩვენი თავის. ფინალში ვიცოდით, რომ უბრალოდ წაგების უფლება არ გვქონდა, რადგან ბევრი ჩვენგანისთვის, შესაძლოა, პირველი და ბოლო ფინალი ყოფილიყო, რის გამოც მოტივირებულები ვიყავით. საკმაოდ ძლიერ „ბრაგას“ ვაჯობეთ და დამსახურებულად გავიმარჯვეთ.

სიმართლე გითხრათ, ძალიან ემოციური ადამიანი არ ვარ, მოვიტყუები, რომ ვთქვა, განსაკუთრებულად სასწაული გრძნობა დამეუფლა ტიტულის მოგებით-მეთქი. რა თქმა უნდა, გამიხარდა, მაგრამ ზომიერად.

ახლა პრიმეირა ლიგაში ადგილის შენარჩუნებაა მთავარი მიზანი და დიდი ალბათობით, ამას მოვახერხებთ. ხუთშაბათს „ფეირენსეს“ სახლში ვეთამაშებით და თუ გავიმარჯვებთ, ფაქტობრივად, უმაღლესში დავრჩებით“, — განაცხადა მაკარიძემ.

შეგახსენებთ, რომ გიორგი მაკარიძე „მორეირენსეში“ 2016 წლის ზაფხულში გადავიდა და დღემდე ყველა ტურნირის ჩათვლით 20-ჯერ ითამაშა.

**გიორგი შოთაძე**

◉ დანაკარგი

# გარდაიცვალა ქრისტინა-ადელა ფოიშორი



**ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ 49 წლისა გარდაიცვალა საერთაშორისო დიდოსტატი ქრისტინა-ადელა ფოიშორი.**

თავისი ქვეყნის წამყვანმა მოჭადრაკემ რუმინეთის ნაკრებთან ერთად ცამეტჯერ მიიღო მონაწილეობა საჭადრაკო ოლიმპიადებში. ასევე ხშირად თამაშობდა ინდივიდუალურ მსოფლიო ჩემპიონატებში. ავადმყოფობის მიუხედავად, წლეულს თეირანის (ირანი) მსოფლიო ჩემპიონატზეც აპირებდა გამგზავრებას, სადაც პირველ წრეში ოლგა გირიას (რუსეთი) უნდა შეხვედროდა...

დარჩა ორი ქალიშვილი — საბინა-ფრანჩესკა და მიხაელა-ვერონიკა, რომლებიც დედის კვალს გაჰყვნენ და ასევე მოჭადრაკეები არიან.

**ბადრი იაშვილი**

# მოთხოვნა ინტერესის გამოსახატავად

**საქართველო**
**აღმოსავლეთ–დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის**
**კორიდორის გაუმჯობესების პროექტი**
**სესხის/კრედიტის № IBRD 85470**
**პროექტის No.: P149952**
**დავალების დასახელება: 2017-2026 წლებისთვის საქართველოს ლოჯისტიკის ეროვნული სტრატეგიისა და 2017-2020 წლებისთვის სამოქმედო გეგმის შემუშავება**

საქართველომ მსოფლიო ბანკისგან მიიღო დაფინანსება **აღმოსავლეთ–დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის კორიდორის გაუმჯობესების პროექტისთვის**. აღნიშნული დაფინანსების გარკვეული ნაწილი გამოყენებული იქნება ხსენებული პროექტის ფარგლებში შესასყიდი საქონლის, სამუშაოების, საჭირო მომსახურებისა და საკონსულტაციო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად, რაც საქართველოს მთავრობის თანადაფინანსებით მოხდება.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტმობილო გზების დეპარტამენტი იწვევს უფლებამოსილ კონსულტანტებს ინტერესის გამოსახატად შემდეგი საკონსულტაციო მომსახურების გასაწევად: **" 2017-2026 წლებისთვის საქართველოს ლოჯისტიკის ეროვნული სტრატეგიისა და 2017-2020 წლებისთვის სამოქმედო გეგმის შემუშავება".**

**კონსულტანტების სავარაუდო ჩართულობა არის 7 კაც/თვე. დავალება უნდა დასრულდეს 4 თვეში.**

**დავალების მიზანი**

დავალების ძირითადი მიზნებია: (ა) შეიქმნას ლოჯისტიკის ერთიანი ეროვნული სტრატეგია და შესაბამისი სამოქმედო გეგმა მკაფიოდ განსაზღვრული შესრულების ინდიკატორებით; (ბ) მომზადდეს ტექნიკური დავალებები ძირითადი პრიორიტეტული აქტივობებისთვის რომელიც განისაზღვრება სტრატეგიის და/ან საბჭოს რეკომენდაციის საფუძველზე.

კონსულტანტმა უნდა ითანამშრომლოს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან, საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან, საქართველოს რკინიგზასთან, საქართველოს ლოჯისტიკის ასოციაციასთან, სატვირთო ავტომობილების გაერთიანებებთან, სატვირთო გადამზიდავებთან, საბაჟო ბროკერებთან, პორტის ოპერატორებთან და სხვა დაინტერესებულ უწყებებთან, კომპანიებთან და ადგილობრივ ექსპერტებთან საჯარო თუ კერძო სექტორიდან.

**მომსახურების სფერო:**

მომსახურების სფერო მოიცავს ორ ძირითად აქტივობას:

**I - ლოჯისტიკის ეროვნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შექმნა.**

**II - ტქენიკური დავალებების მომზადება სამოქმედო გეგმის საფუძველზე გამოკვეთილი ძირითადი პრიორიტეტული აქტივობების განსახორციელებლად.**

**შერჩევის ძირითადი კრიტერიუმებია:**

- კომპანიის ძირითადი გამოცდილება;
- მსგავსი გამოცდილება ლოჯისტიკის ეროვნული სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის მომზადებაში (დავალებები წარმატებით დასრულებული ბოლო 6 წლის განმავლობაში, 2011- 2016 წწ.)

***შენიშვნა: საავტომობილო გზების დეპარტამენტი იტოვებს უფლებას გადაამოწმოს წარმოდგენილი საბუთები და მოპოვებული ინფორმაცია გამოიყენოს შეფასების მიზნებისთვის.***

დაინტერესებულმა კომპანიებმა უნდა წარმოადგინონ აღნიშნული მომსახურების გასაწევად საჭირო გამოცდილების დამადასტურებელი ინფორმაცია. ინტერესთა გამოხატვის წერილს თან უნდა დაერთოს შემდეგი: კონსულტანტის კორპორატიული პროფილი და შესაბამისი გამოცდილება დავალებასთან მიმართებაში, ძირითად თანამშრომელთა კვალიფიკაციას. ასევე უნდა მოიცავდეს იმ თანამშრომელთა ავტობიოგრაფიას, რომელიც შემოთავაზებულია აღნიშნული დავალების შესასრულებლად, რათა დადასტურდეს რომ მათ გააჩნიათ შესაბამისი კვალიფიკაცია და გამოცდილება.

დაინტერესებულმა კონსულტანტებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ მსოფლიო ბანკის ინსტრუქციების – „მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება [რეკონსტრუცქიისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (IBRD) სესხის და განვითარების საერთაშორისო ასოციაციის (IDA) კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში]" (2011 წლის იანვრის გამოცემა, განახლებული 2014 წლის ივლისში, "კონსულტანტების სახელმძღვანელო პრინციპები") – 1.9 პარაგრაფზე, სადაც განსაზღვრულია მსოფლიო ბანკის პოლიტიკა ინტერესთა კონფლიქტის შესახებ. ამასთანავე, გთხოვთ გაითვალისწინოთ ქვემოთ მოცემული სპეციფიკური ინფორმაცია, რომელიც ეხება აღნიშნულ დავალებასთან დაკავშირებულ ინტერესთა კონფლიქტს: კონსულტანტი დავალებასთან მიმართებაში ანაზღაურებას მიიღებს მხოლოდ კონტრაქტში მითითებული პირობების შესაბამისად. დაუშვებელია კონსულტანტისა და მისი ფილიალების მონაწილეობა ისეთ საკონსულტაციო ან სხვა ღონისძიებებში, რომლებიც კონტრაქტის თანახმად დამკვეთთან ინტერესთა კონფლიქტს წარმოშობს. კონტრაქტი უნდა მოიცავდეს პირობებს, რომლითაც იზღუდება მომავალში კონსულტანტის მონაწილეობა სხვა მომსახურებებში, რომელიც გამომდინარეობს ან პირდაპირ კავშირშია ფირმის საკონსულტაციო მომსახურეობებთან ინსტრუქციების 1.9 და 1.10 პარაგრაფებით გათვალისწინებული მოთხოვნების თანახმად.

დავალების შესაბამისი პროექტების განხორციელების გამოცდილება წარმოდგენილ უნდა იქნას №1 ფორმის სახით, რომელიც განთავსებულია საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებ-გვერდზე www.georoad.ge შემდეგ ბმულზე:
http://www.georoad.ge/?lang=geo&act=tenders&func=menu&uid=1391090819

კონსულტანტების მიერ წარმოდგენილი ინტერესის გამოხატვა არ უნდა აღემატებოდეს 30 გვერდს. დანართის სახით შესაძლებელია კომპანიის ბროშურის წარმოდგენა, რაზეც გვერდების რაოდენობის შეზღუდვა არ ვრცელდება.

კონსულტანტის შერჩევა მოხდება მსოფლიო ბანკის "კონსულტანტების სახელმძღვანელო პრინციპების" (2011 წლის იანვრის გამოცემა, განახლებული 2014 წლის ივლისში) შესაბამისად.

დაინტერესებულ კონსულტანტებს დამატებითი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ იმეილზე: info@georoad.ge

ინტერესის გამოხატვა დაბეჭდილი სახით ან ელექტრონული ვერსია წარმოდგენილ უნდა იქნას ქვემოთ მითითებულ მისამართზე არაუგვიანეს **2017 წლის 16 თებერვლის, 17:00 საათისა.**

საკონტაქტო პირი: გიორგი სეთურიძე
თანამდებობა: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტმობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარე
მისამართი: ალ.ყაზბეგის გამზირი №12, თბილისი, 0160, საქართველო
ელ. ფოსტა: info@georoad.ge
ვებ-გვერდი: www.georoad.ge

# REQUEST FOR EXPRESSIONS OF INTEREST

**Georgia**
**East-West Highway Corridor Improvement Project**
**Loan No. IBRD 85470**
**Project No. P149952**
**Assignment Title: DEVELOPMENT OF THE GEORGIAN NATIONAL LOGISTICS STRATEGY FOR 2017-2026 AND ACTION PLAN FOR 2017-2020**
**Contract/RFP No: EWHCIP/CS/CQS-01**
**Reference No: EWHCIP PP**

Georgia has applied financing from the World Bank towards the cost of the **East-West Highway Corridor Improvement Project** and intends to apply part of the proceeds to payments for goods, works, and related services and consulting services to be procured under this project, which will be jointly financed by the Government of Georgia.

The Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia (RDMRDI) now invites eligible consultancy companies to express their interest in providing the following services: **"Development of the Georgian National Logistics Strategy for 2017-2026 and Action Plan for 2017-2020".**

The Consultants estimated inputs is 7 man/month.? This assignment should be completed over a 4 months period.

Objective of the Assignment

The main objectives of this assignment are: (i) to develop an integrated national logistics strategy and relevant action plan with clear results performance indicators; (ii) to prepare the ToRs of the priority key activities recommended by the strategy and/or by the Council.

The Consultant is required to closely collaborate with Ministry of Economy and Sustainable Development (MoESD), Ministry of Finance (MoF), Ministry of Regional Development and Infrastructure (MRDI), Georgia Railways, Georgian Logistics Association, trucking associations, freight forwarders, customs brokers, port operators and other stakeholder agencies, companies and local experts from the public and private sectors.

Scope of Services

The scope of services include the following two main activities:

**Activity A - Develop a National Logistics Strategy and Action Plan**

**Activity B - Prepare ToRs for the implementation of key priority activities identified under the agreed on action plan.**

**The Selection criteria are:**

· General experience of the Company;
· Similar experience in developing national logistics strategies and action plans (assignments successfully completed over the past 6 years i.e. 2011-2016)

*Note: The Road Department reserves it's right to verify submitted references and use obtained information for evaluation purposes.*

Interested Consultants shall provide information demonstrating that they have the necessary experience to perform the aforesaid services. Expressions of interest should cover, but not limited to: Experience relevant to the project activities, key staff resources and qualification, corporate profile. They shall include brief CVs of the personnel, who are proposed for the assignment to confirm they have relevant qualification and experience.

The attention of interested Consultants is drawn to paragraph 1.9 of the World Bank's *Guidelines: Selection and Employment of Consultants [under IBRD Loans and IDA Credits & Grants] by World Bank Borrowers*, January 2011 – Revised July 2014 ("Consultant Guidelines"), setting forth the World Bank's policy on conflict of interest. In addition, please refer to the following specific information on conflict of interest related to this assignment: The consultant shall not receive any remuneration in connection with the assignment except as provided in the contract. The consultant and its affiliates shall not engage in consulting or other activities that conflict with the interest of the client under the contract. The contract shall include provisions limiting future engagement of the consultant for other services resulting from or directly related to the firm's consulting services in accordance with the requirements of paragraphs 1.9 and 1.10 of the Guidelines.

. Experience in the projects relevant to the assignment should be submitted in the Form N1 uploaded at Roads Department website on www.georoad.ge on the following link:
http://www.georoad.ge/?lang=geo&act=tenders&func=menu&uid=1391090819

The consultants are strongly advised to limit their Expression of Interest to 30 pages. Company brochures may be included as an Annex, and will not be affected by the limit of 30 pages.

A consultant will be selected in accordance with the procedures set out in World Bank's *Guidelines: Selection and Employment of Consultants [under IBRD Loans and IDA Credits & Grants] by World Bank Borrowers*, January 2011 – Revised July 2014 ("Consultant Guidelines").

Interested consultants may obtain further information at the address: info@georoad.ge

Expressions of Interest accompanied relevant information mentioned above must be submitted either as a hard copy or electronically to the address below **not later than February 16, 2017, 17:00 hours.**

Name: George Seturidze
Position: Chairman of Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia
Address: 12 Al. Kazbegi Avenue, Tbilisi, 0160, Georgia
Email: info@georoad.ge
Web-Site: www.georoad.ge

# მოთხოვნა ინტერესის გამოსახატავად

**საქართველო**
**აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული მაგისტრალის**
**გაუმჯობესების მეოთხე პროექტი**
**კრედიტის/სესხის No IDA5245-GE; IBRD8263-GE**
**პროექტის No P130413**
**დავალების სახელწოდება: პროექტების ექსპერტიზის კონსულტანტი**
**საიდენტიფიკაციო No EWHIP-4/CS/ICS-10**

საქართველომ მსოფლიო ბანკისგან მიიღო დაფინანსება **აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული მაგისტრალის გაუმჯობესების მეოთხე პროექტისთვის**. აღნიშნული დაფინანსების გარკვეული ნაწილი გამოყენებული იქნება ხსენებული პროექტის ფარგლებში შესასყიდი საქონლის, სამუშაოების და საჭირო საკონსულტაციო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად, რაც საქართველოს მთავრობის თანადაფინანსებით მოხდება.

საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი იწვევს ინდივიდუალურ კონსულტანტებს (კონსულტანტებს) ინტერესის გამოსახატად შემდეგი მომსახურების გასაწევად: **პროექტების ექსპერტიზის კონსულტანტი.**

**დავალების სავარაუდო ხანგრძლივობაა 12 თვე.**

დაინტერესებულმა კონსულტანტებმა უნდა წარმოადგინონ ინფორმაცია, რომელიც დაადასტურებს, რომ მათ აქვთ საკმარისი გამოცდილება ზემოხსენებული დავალების შესასრულებლად. ინტერესის გამოხატვა უნდა მოიცავდეს კონსულტანტის მოკლე ბიოგრაფიას (CV), კვალიფიკაციას და გამოცდილებას, რომ დადასტურდეს კვალიფიკაციის და გამოცდილების შესაბამისობა შესასრულებელ დავალებასთან.

კონსულტანტის შერჩევა მოხდება ინდივიდუალური კონსულტანტის შერჩევის მეთოდით მსოფლიო ბანკის ინსტრუქციებით განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად: მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება, 2011 წლის იანვარის გამოცემა, განახლებული 2014 წლის ივლისში, თავი V „ინდივიდუალი კონსულტანტის შერჩევა“.

დაინტერესებულმა კონსულტანტებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ მსოფლიო ბანკის ინსტრუქციების – „მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება [რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (IBRD) სესხის და განვითარების საერთაშორისო ასოციაციის (IDA) კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში]" (2011 წლის იანვრის გამოცემა, განახლებული 2014 წლის ივლისში,"კონსულტანტების სახელმძღვანელო პრინციპები") – 1.9 პარაგრაფზე, სადაც განსაზღვრულია მსოფლიო ბანკის პოლიტიკა ინტერესთა კონფლიქტის შესახებ. ამასთანავე, გთხოვთ გაითვალისწინოთ ქვემოთ მოცემული სპეციფიკური ინფორმაცია, რომელიც ეხება აღნიშნულ დავალებასთან დაკავშირებულ ინტერესთა კონფლიქტს: კონსულტანტი დავალებასთან მიმართებაში ანაზღაურებას მიიღებს მხოლოდ კონტრაქტში მითითებული პირობების შესაბამისად. დაუშვებელია კონსულტანტისა და მისი ფილიალების მონაწილეობა ისეთ საკონსულტაციო ან სხვა ღონისძიებებში, რომლებიც კონტრაქტის თანახმად დამკვეთთან ინტერესთა კონფლიქტს წარმოშობს. კონტრაქტი უნდა მოიცავდეს პირობებს, რომლითაც იზღუდება მომავალში კონსულტანტის მონაწილეობა სხვა მომსახურებებში, რომელიც გამომდინარეობს ან პირდაპირ კავშირშია ფირმის საკონსულტაციო მომსახურებებთან ინსტრუქციების 1.9 და 1.10 პარაგრაფებით გათვალისწინებული მოთხოვნების თანახმად.

**კონსულტანტისათვის მოთხოვნილი კვალიფიკაცია:**

- მინიმუმ 15 წლიანი გამოცდილება გზების/ავტომაგისტრალების საინჟინრო გამოცდილება, მათ შორის მინიმუმ 5 წლიანი საერთაშორისო გამოცდილება;
- გზების/ავტომაგისტრალების დეტალური საინჟინრო პროექტების მომზადების და ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევების ჩატარების გამოცდილება ან დეტალური საინჟინრო პროექტების და ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევების ექსპერტიზის ჩატარების გამოცდილება;
- სასურველია ევროპული სტანდარტების გამოყენებით მუშაობის გამოცდილება.

შენიშვნა: საავტომობილო გზების დეპარტამენტი იტოვებს უფლებას გადაამოწმოს წარმოდგენილი საბუთები და მოპოვებული ინფორმაცია გამოიყენოს შეფასების მიზნებისთვის.

დაინტერესებულ კონსულტანტებს დამატებითი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ ელ–ფოსტის მეშვეობით: info@georoad.ge

ინტერესის გამოხატვა და კანდიდატთა ბიოგრაფიული მონაცემების (CV) ელექტრონული ან ბეჭდური ვერსია წარმოდგენილი უნდა იქნას ქვემოთ მითითებულ მისამართზე არაუგვიანეს **2017 წლის 15 თებერვლის 17:00 საათისა.**

სახელი და გვარი: გიორგი სეთურიძე
თანამდებობა: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარე
მისამართი: ალ. ყაზბეგის №12, თბილისი, 0160, საქართველო
ელ-ფოსტა: info@georoad.ge
ვებ-გვერდი: www.georoad.ge

# REQUEST FOR EXPRESSIONS OF INTEREST

**Georgia**
**Fourth East-West Highway Improvement Project (EWHIP-4)**
**Credit/Loan No. IDA5245-GE; IBRD 8263-GE**
**Project No. P130413**
**Assignment Title:** Design Review Consultant.
**Contract/RFP No:** EWHIP-4/CS/ICS-10

Georgia has received financing from the World Bank towards the cost of the **Fourth East-West Highway Improvement Project** and intends to apply part of the proceeds to payments for goods, works, and related services and consulting services to be procured under this project which will be jointly financed by the Government of Georgia.

The Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia (RDMRDI) now invites Individual Consultants (Consultants) to express their interest in providing the following services: **Design Review Consultant.**

Roads Department intends to hire the Design-Review Consultant to support increased workload under the World Bank financed projects that is mainly related to the following road sections with the total length of approximately 320km:

(i) Preparation of Pre - Feasibility Study and Feasibility Study for Jinvali - Larsi Road and Detailed Design for the Construction of Kvesheti -Kobi Road Section;
(ii) Preparation of Feasibility Study and Detailed Design for the Upgrading of Rustavi-Red Bridge and Rustavi-Sadakhlo Roads;
(iii) Preparation of Feasibility Study for Upgrading of Tbilisi-Bakurtsikhe, Tsnori-Lagodekhi Road and Detailed Design for the Upgrading of Tbilisi-Sagarejo and Sagarejo-Bakurtsikhe Road;
(iv) Preparation of Pre-Feasibility and Feasibility Study for Samtredia-Zugdidi Bypass Road (including access road to Anaklia Deep Sea Port);
(v) Preparation of Feasibility Study, Preliminary Design and Bidding Documents for Design-and-Build Contract of Construction of Bakurtsikhe-Tsnori and Gurjaani (Chumlaki) – Telavi Baypass roads sections.

Time-based contract will be signed between Consultant and Roads Department for 12-month period. The estimated input during the assignment is 7 staff-months.

Interested individuals shall provide information demonstrating that they have the necessary experience to perform the aforesaid services. CVs of the candidates should cover experience in relevant to the project activities.

The Consultant will be selected under Chapter V "Selection of Individual Consultants" selection method for a time-based contract, as described in the World Bank's Guidelines: Selection and Employment of Consultants [under IBRD Loans and IDA Credits & Grants] by World Bank Borrowers, January 2011, revised July 2014 ("Consultant Guidelines").

The attention of interested Consultants is drawn to paragraph 1.9 of the World Bank's *Guidelines: Selection and Employment of Consultants [under IBRD Loans and IDA Credits & Grants] by World Bank Borrowers*, January 2011, revised July 2014 ("Consultant Guidelines"), setting forth the World Bank's policy on conflict of interest. In addition, please refer to the following specific information on conflict of interest related to this assignment: The consultant shall not receive any remuneration in connection with the assignment except as provided in the contract. The consultant and its affiliates shall not engage in consulting or other activities that conflict with the interest of the client under the contract. The contract shall include provisions limiting future engagement of the consultant for other services resulting from or directly related to the firm's consulting services in accordance with the requirements of paragraphs 1.9 and 1.10 of the Guidelines.

**Required Qualification of the Consultant:**

The Design Review Consultant shall be qualified and competent Civil Engineer and shall have:

· A minimum of 15 years of general road / highway engineering experience of which a minimum of 5 years is international.
· Similar / specific experience in the preparation of feasibility and detailed engineering design studies or in the review of feasibility studies and detailed engineering design studies of road or highways projects.
· Experience in the use of European standards will be an advantage.

*Note: The Road Department reserves it's right to verify submitted references and use obtained information for evaluation purposes.*

Interested consultants may obtain further information by email: info@georoad.ge

Cover letter and CVs of candidates must be submitted either as a hard copy or electronically to the address below not later than, **February 15, 2017, 17:00 hours.**

Name: Giorgi Seturidze
Position: Chairman of Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia
Address: 12 Al. Kazbegi Avenue, Tbilisi, 0160, Georgia
Email: info@georoad.ge
Web-Site: www.georoad.ge

# „სტარტაპ საქართველო“ განაცხადების მიღებას განაგრძობს

**საპარტნიორო ფონდი „სტარტაპ საქართველოს“ პროგრამის ინოვაციურ კომპონენტში ბიზნეს პროექტების აპლიკაციების მიღებას განაგრძობს.**

**განაცხადის ფორმა, შევსების წესი და პროგრამის შესახებ დეტალური ინფორმაცია განთავსებულია ინტერნეტ გვერდზე www.startup.gov.ge დამატებითი ინფორმაციისთვის მუშაობს ცხელი ხაზი: 2 30 59 15**

**ინოვაციური კომპონენტის 9 გამარჯვებული საპარტნიორო ფონდმა დეკემბრის ბოლოს გამოავლინა, პირველ ტურში კი 36-მა აპლიკანტმა გაიმარჯვა. საერთო ჯამში ინოვაციურ და მაღალტექნოლოგიურ კომპონენტებში „სტარტაპ საქართველოს“ 65 გამარჯვებული ჰყავს.**

**ახალი წლიდან „სტარტაპ საქართველოს“ პროგრამაში მონაწილეობისთვის განაცხადების შეტანა და მათი შესწავლა განხორციელდება მუდმივ რეჟიმში, ხოლო გამარჯვებულების დაჯილდოება პერიოდულად, წელიწადში რამდენჯერმე მოხდება.**

**„დამწყები საწარმოების (სტარტაპების) ხელშეწყობის პროგრამას“ მთავრობის ინიციატივით საპარტნიორო ფონდი და ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო ერთობლივად ახორციელებენ. „სტარტაპ საქართველო“ მაღალტექნოლოგიური და ინოვაციური კომპონენტებისგან შედგება.**





# დევნილთათვის საცხოვრებელი ბინების გადაცემის მიზნით ოჯახების შეფასების კრიტერიუმები იცვლება

„დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესში" ცვლილებები შედის. უწყებაში აცხადებენ, რომ მინისტრის №320 ბრძანებაში კრიტერიუმების ცვლილების შედეგად, დევნილთა გრძელვადიანი განსახლების პროცესი დევნილთა საჭიროებებზე მორგებული გახდება.

ცვლილებების თანახმად, დევნილ ოჯახს, რომელსაც ორი არასრულწლოვანი წევრი ჰყავს, 1 ქულა მიენიჭება, სამ არასრულწლოვან წევრზე — 2 ქულა, ოთხ არასრულწლოვან წევრზე — სამი ქულა, ხოლო ყოველი მომდევნო არასრულწლოვანი წევრის შემთხვევაში — დამატებით 0,5 ქულა. ამ დრომდე, დევნილ ოჯახს 1 ქულა ენიჭებოდა იმ შემთხვევაში, თუ ოჯახში იყო სამი არასრულწლოვანი წევრი, ხოლო ყოველ მომდევნოზე არასრულწლოვან წევრზე, დამატებით მხოლოდ 0,5 ქულა.

კრიტერიუმებში შესატანი ცვლილებების მიხედვით, ოჯახი რომლის წევრიც იყო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის წარმოებული ომის ვეტერანი და გარდაეცვალა, მიიღებს 1,5 ქულას. ამ დრომდე ასეთი კრიტერიუმი არ არსებობდა.

დევნილი ოჯახი, რომლის წევრიც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის წარმოებულ ბრძოლაში გარდაიცვალა და მინიჭებული აქვს ეროვნული გმირის ორდენი, 2 ქულის ნაცვლად, მიიღებს 3 ქულას. ასევე ნახევარი ქულით გაიზარდა წმინდა გიორგის სახელობის გამარჯვების ორდენზე, დავით აღმაშენებლის ორდენსა და ვახტანგ გორგასლის ორდენზე მინიჭებული ქულების რაოდენობა.

ასევე, ოჯახი, რომლის წევრიც არის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის წარმოებული ბრძოლის ვეტერანი და მინიჭებული აქვს ეროვნული გმირის ორდენი, 2 ქულის ნაცვლად მიიღებს 3 ქულას. ასევე ნახევარი ქულით გაიზარდა წმინდა გიორგის სახელობის გამარჯვების ორდენზე, დავით აღმაშენებლის ორდენსა და ვახტანგ გორგასლის ორდენზე მინიჭებული ქულების რაოდენობა.

დევნილ ოჯახს, რომელიც რეგისტრირებულია თბილისში და „სოფლად სახლის შესყიდვის" პროექტის ფარგლებში შეავსებს განაცხადს, დამატებით მიენიჭება 2,5 ქულა. დევნილ ოჯახს შესაძლებლობა აქვს, საცხოვრებელი სახლი, როგორც თბილისში, ასევე საქართველოს ნებისმიერ რეგიონში თავისი სურვილის მიხედვით შეარჩიოს.

გარდა ამისა, 2013 წლის 1 ივნისამდე თბილისში რეგისტრირებულ დევნილ ოჯახს, 2 ქულის ნაცვლად, მიენიჭება 2,5 ქულა, თუ იგი განაცხადს საქართველოს ნებისმიერ რეგიონში საცხოვრებელი ფართის მიღების თაობაზე შეავსებს.

# ბათუმელი მოსწავლეები აფხაზურ ენას შეისწავლიან

**აჭარის მთავრობის თავმჯდომარე ზურაბ პატარაძე საქართველოს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრთან ქეთევან ციხელაშვილთან და აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრთან ინგა შამილიშვილთან ერთად ფერიის საჯარო სკოლას ეწვია, სადაც აფხაზური ენის სწავლების ჯგუფების გახსნის ღონისძიებას დაესწრო.**

ზურაბ პატარაძემ მინისტრებთან ერთად ამ ჯგუფებისთვის გამოყოფილი სპეციალური კლასები დაათვალიერა და მოსწავლეებს და პედაგოგებს შეხვდა. მოეწყო გამოფენა აფხაზების აჭარაში დამკვიდრებასთან დაკავშირებით, სადაც ხელოვანების კლუბის ნამუშევრები იყო წარმოდგენილი. სკოლის მოსწავლეების მონაწილეობით გაიმართა თეატრალური წარმოდგენა ,,ჩვენ დავბრუნდებით". სპექტაკლში აფხაზურმა დიალოგებმაც გაიჟღერა.

წარმოდგენის დასრულების შემდეგ დარბაზში მყოფ საზოგადოებას აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ და მინისტრებმა სიტყვით მიმართეს.

გუშინდელი ღონისძიება აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ორგანიზებით და აჭარის განათლების ფონდის მხარდაჭერით გაიმართა. განათლების ფონდის მიერ პედაგოგებთან გაფორმდა ხელშეკრულების საფუძველზე თითოეული ჯგუფისათვის კვირაში 4 საათი ჩატარდება.

**განათლების ფონდი უზრუნველყოფს სახელმძღვანელოებით მომარაგებასაც. სკოლის ინიციატივით სპეციალურად დაიბეჭდა აფხაზური ენის 1991 წელს გამოცემული სახელმძღვანელო დედაენა და ასევე აფხაზური ენის თვალსაჩინო ანბანი.**



დანართი №1 (2 ფურცელი)
დამტკიცებულია
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის
2017 წლის „24 იანვრის"
№ 01-3/23 ბრძანებით

# აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს განცხადება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

| ობიექტი № 1 | | |
|---|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 245444844 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. ბათუმი, კომახიძის ქ № 119 / 0422 27 35 10 |
| 3 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 4 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს საფეხურებრივად, მაღალი ჰიფსომეტრიული ნიშნულიდან დაბლისაკენ (ზემოდან ქვემოთ);<br>ბ) ობიექტის დამუშავება უნდა განხორციელდეს ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმისათვის მიღებული ნორმებისა და წესების დაცვით;<br>გ) ობიექტის ექსპლოატაციის პერიოდში მოხსნილი ფუჭი ქანი უნდა დასაწყობდეს რადგან გამოირიცხოს ფუჭი ქანების ჩაყრა მდინარის კალაპოტში რამაც შეიძლება გამოიწვიოს მდინარის შეგუბება და გვერდითი ეროზიის ან ღვარცოფული პროცესების განვითარება;<br>დ) მოპოვებითი სამუშაოები განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის დამუშავების პროექტის შესაბამისად;<br>ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ვ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე აჭარის ა.რ. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 5 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ხულოს მუნიციპალიტეტის, სოფ. დანისპარაულის მიმდებარე ტერიტორია, ,,ანდეზიტო-დაციტის საბადო". (სხვა საშენი მასალები, კატეგორია-C, მოსაპოვებელი წიაღის ჯამური მოცულობა - 135 795 მ³) |
| 6 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ხულოს მუნიციპალიტეტი, სოფ. დანისპარაული. |
| 7 | აუქციონის საწყისი ფასი | 44 610 ლარი |
| 8 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 4 461 ლარი |
| 9 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკლებელი | 35 700 ლარი |
| 10 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 31 იანვარს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 06 მარტს დღის 18.00 საათზე |
| 11 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 06 მარტს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 06 მარტს დღის 18.00 საათზე |
| 12 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 13 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

პური ჩვენი არსობისა

# ვალუტის მორიგი გაუფასურება პურის გაძვირებას გამოიწვევს

**პურპროდუქტების მწარმოებლები კვლავ გაძვირებაზე ალაპარაკდნენ. ისინი მთავრობას აფრთხილებენ, რომ ლარის კურსს მაქსიმალურად მიაქციონ ყურადღება, რადგან მორიგ მერყეობას საცხობები ვეღარ გაუძლებენ.**

**„პურის მეწარმეები მაქსიმალურად ვცდილობთ, შევინარჩუნოთ არსებული ფასი პროდუქტზე, თუმცა თუ ვალუტის კურსი კვლავ შეიცვლება, მაშინ იძულებულები ვიქნებით, პურის ფასმაც მოიმატოს“, —** ამბობენ მეპურეები.

კომპანია „იფქლის“ გენერალური დირექტორის მოადგილე **ბაქარ ბაკურაძე** აღნიშნავს, რომ



პურის საწარმოებლად საჭირო ინგრედიენტების იმპორტი ხდება, ფასი დამოკიდებულია ლარის კურსის მიმართებაში დოლართან, შესაბამისად, არ არის გამორიცხული, რომ პურის ფასმა მოიმატოს იმ შემთხვევაში, თუკი ლარი კვლავ გაუფასურდება. ბაკურაძეს უჭირს სამომავლო პროგნოზის გაკეთება.

„პურის ტარიფი დამოკიდებულია ნედლეულის ფასზე დოლარის კურსის მატებასთან შესაბამისად. ყველა ინგრედიენტზე, რაც პურის წარმოებაში გამოიყენებოდა, მომატებულია ფასი. პურის მეწარმეები მაქსიმალურად ვცდილობთ, შევინარჩუნოთ არსებული ფასი.

**არსებობს გარკვეული მარაგი და ვცდილობთ, მარაგების ხარჯზე შევინარჩუნოთ ფასი. იმ შემთხვევაში, თუ არსებული სიტუაცია დასტაბილურდება ამ ნიშნულზე, როგორც დღეს ვიმყოფებით, სავარაუდოდ, შენარჩუნდება პურზე არსებული ფასი. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ვალუტის კურსი კვლავ შეიცვლება, მაშინ იძულებულები ვიქნებით, პურის ფასმაც მოიმატოს“, —** განუცხადა „ბიპიენს“ ბაკურაძემ.

პარალელურად პროდუქცია, შესაძლოა, მცირე საცხობებმა და თონეებმაც გააძვირონ. თონის მეპატრონეები ხაზს უსვამენ, რომ ხორბლის ფასი გაიზარდა, ხოლო მარაგი, რომლითაც დღემდე პურის ფასს ინარჩუნებდნენ, ამოიწურა:

„პურის გაძვირება არ იგეგმებოდა, თუმცა ლარის კურსის ცვლილებამ ფქვილზე ზეგავლენა იქონია, რადგან ნედლეულს დოლარში ვყიდულობთ და ადგილზე ლარებშია ანგარიშსწორება. ამას ემატება საწვავზე ფასის ზრდაც“.

პურ-პროდუქტების ასოციაციის ხელმძღვანელის **მალხაზ დოლიძის** თქით, არსებობს მექანიზმები, რომლის შედეგადაც შესაძლებელია, რომ ამ სახის პროდუქტზე ფასები არ გაიზარდოს. ერთ-ერთ ასეთ მაგალითად ის დღგ-ს გადასახადის შეჩერებას ასახელებს.

მეპურეებს 2017 წლის იანვრიდან ხარჯი სხვა მიმართულებითაც გაეზარდა. ძალაში შევიდა ხორბლის ფქვილის ტექნიკური რეგლამენტი. სურსათის ეროვნულმა სააგენტომ პურის ხარისხზე კონტროლი გაამკაცრა.

უკვე ამოქმედდა საქართველოს მთავრობის დადგენილება №376, რომელიც 2015 წლის 27 ივნისს დამტკიცდა — ეს არის ხორბლის ფქვილის ტექნიკური რეგლამენტი. პირველი იანვრიდან შეძენილ ფქვილზე უნდა იყოს ეტიკეტი განთავსებული, სადაც მომხმარებელს შეეძლება, იხილოს, რა ფქვილს ყიდულობს, როგორია მისი ხარისხი — არის ექსტრაფქვილი, უმაღლესი ხარისხის, მეორე ხარისხის, პირველი ხარისხის თუ სხვა.

სურსათის უვნებლობის სამსახურში აცხადებენ, რომ ტექნიკური რეგლამენტის შემოღებამ ფასების მატება არ უნდა გამოიწვიოს. პურის მწარმოებლებს არ ექნებათ პურის შეფუთვის ან მასზე ეტიკეტის დატანის ვალდებულება. როდესაც საწარმოდან გამოდის პური, უნდა მოყვებოდეს დოკუმენტი, სადაც პროდუქტის მახასიათებლები იქნება მითითებული, ხოლო პურის მაღაზიები, დახლზე მისი დადების შემდეგ ვალდებული იქნებიან, მიუთითონ, თუ რომელი რა პურია, რას შეიცავს. თუმცა, სხვაგვარად ფიქრობენ თავად მეწარმეები, რომელთა აზრით, დამატებითი ვალდებულება ყოველთვის გარკვეულ ხარჯთან არის ასოცირებული.

**ბექა დანელია**

# ალკოჰოლური სასმელის უაქციზოდ რეალიზაციის ფაქტზე გამოიჭირეს!

**საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა მარკირებას დაქვემდებარებული დიდი ოდენობით ალკოჰოლური სასმელის აქციზური მარკის გარეშე რეალიზაციის ფაქტზე საქართველოს ერთი მოქალაქე დააკავა.**



ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად დადგინდა, რომ ბრალდებული საქართველოს ტერიტორიაზე ახდენდა აქციზური მარკის სავალდებულო დართვას დაქვემდებარებული ბრენდირებული ალკოჰოლური სასმელის — „david“-ის აქციზური მარკის გარეშე რეალიზაციას. საგამოძიებო სამსახურის მიერ ნივთმტკიცების სახით ამოღებულია 700 ერთეული უაქციზო ალკოჰოლური სასმელი.

# ბოლნისში შველზე ნადირობის ფაქტი გამოავლინეს!

**გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ქვემო ქართლის რეგიონული სამმართველოს თანამშრომლებმა ბოლნისის მუნიციპალიტეტში შველზე ნადირობის ფაქტი გამოავლინეს.**

სოფელ სამწვერისის ტერიტორიაზე, დევნის განხორციელების შედეგად გაჩერებული ავტომანქანის საბარგულში აღმოჩნდა გატყავებული და დანაწევრებული ორი შველი. ექსპერტიზამ, რომელიც ხორციდან აღებულ ნიმუშებს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მოლეკულურ-გენეტიკურ ლაბორატორიაში ჩაუტარდა, დაადასტურა, რომ გადაგზავნილი ორი ნიმუში შვლის ინდივიდს მიეკუთვნება.

სამართალდამრღვევებმა მიმალვა შეძლეს, თუმცა მანქანაში ნაპოვნი მართვის მოწმობისა და სხვა მტკიცებულებების საფუძველზე მოხერხდა მძღოლისა და უკანონო ნადირობაში მონაწილე სხვა პირების ვინაობის დადგენა. გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ავტომანქანა შინაგან საქმეთა სამინისტროს ბოლნისის რაიონულ სამმართველოში გადაიყვანეს და დალუქეს.

გარემოსთვის მიყენებული ზიანის ოდენობამ 10 000 (ათი ათასი) ლარი შეადგინა.

სწორი კვება



# ყავის გენეტიკური პორტრეტი

**ცნობილი ფაქტია! მსოფლიოში ყველაზე პოპულარული სასმელია ჩაი. არაალკოჰოლიან სასმელებში კი მას, უდავოდ, ყავა მოსდევს, რომელიც, როგორც იუტას შტატის უნივერსიტეტის მეცნიერებმა გამოარკვიეს, ხალხს, თურმე, ლუდზე ხშირად და უფრო მეტადაც აღელვებს. მკვლევარებმა სოციალურ ქსელებში 600 ათასზე მეტი ცნობა გაანალიზეს და აღმოჩნდა, რომ მომხმარებლები ყავას ლუდზე 20 პროცენტით უფრო ხშირად ახსენებდნენ.**

არადა, თურმე, ყავა არა მარტო სოციალური ქსელების რიგით მომხმარებლებს, არამედ მეცნიერებსაც აღელვებთ, რომლებიც ძალ-ღონეს არ იშურებენ მის საკვლევად, თუმცა კი საგანგებო ყურადღების ცენტრში მაინც მისი გენეტიკაა.

ცოტა ხნის წინათ მკვლევარებმა აღმოაჩინეს ახალი გენი, რომელიც ყავის შეთვისებაზეა პასუხისმგებელი. მანამდე უკვე ცნობილი იყო ორი გენი, რომლებზეც ამ სასმელზე ჩვენი ორგანიზმის რეაქციები იყო დამოკიდებული: საქმე ისაა, რომ გენების ერთი კრებულის პატრონებს გამამხნევებელი ყავა რგებს, სხვებს კი წყენს.

ყავის მთელი გენეტიკა, არსებითად, მის მხოლოდ ერთ კომპონენტზე — კოფეინზეა მიბმული. ბედის ირონიით, ის უფრო წამლის აქტიურ კომპონენტს ჰგავს, ვიდრე რომელიმე საკვებს. ამიტომაცაა, რომ ორგანიზმი მასზე როგორც წამალზე რეაგირებს, აქედანვე მომდინარეობს ორგანიზმზე ყავის მასტიმულირებელი ზემოქმედება, რომლის შესახებ ყველამ იცის და მისი შარდმდენი თვისებები, რაც ბევრისთვის უცნობია. მნიშვნელოვანია, რომ, ისევე, როგორც სხვა წამალს, კოფეინსაც თანმდევი ეფექტები ახლავს. მაგალითად, დღეში ორი ფინჯანი ყავის დალევა დაახლოებით 6 მილიგრამი კალციუმის დაკარგვას, და შესაბამისად, ოსთეოპოროზის წარმოშობას იწვევს, რაც ხშირად, მოტეხილობების მიზეზი ხდება ხოლმე.

ახლა კი წარმოვიდგინოთ, რომ ერთი ადამიანის ორგანიზმში კოფეინი სწრაფად იშლება, მეორისაში — უფრო ნელა. ეს უკანასკნელი მეტ კალციუმს დაკარგავს, რადგან კოფეინი უფრო დიდ ხანს „იმუშავებს“. ზუსტად ასეთივე ექნება მას სხვა ეფექტებიც — თავის ტვინისა და ორგანიზმის სტიმულაციის შეგრძნება, გულისცემის რიტმის მომატება და ა.შ. ხოლო თუკი კაცი დღეში რამდენიმე ფინჯან ყავას მიირთმევს, შესაძლოა, კოფეინის დაგროვების ეფექტმაც მოიმატოს: ძველ, ჯერ კიდევ დაუშლელ ულუფებს გამუდმებით ახალ-ახალი ემატება.

ამერიკელმა მეცნიერებმა დაითვალეს, რომ მამაკაცებში, რომელთა ორგანიზმში კოფეინი ნელა იშლება, ინფარქტების საფრთხე, ხოლო ქალებში კი ფეხმძიმობის დროს მუცლის მოშლის საშიშროება გაცილებით მატულობს. აღნიშნული ეფექტები მამაკაცებში 2-3, ქალებში 1-2 ფინჯანის შემდეგ დგება. მკლევარებმა დიაგნოსტიკური ტესტიც შეიმუშავეს, რომლის მეშვეობით შესაძლებელია იმის დადგენა, თუ კოფეინის დაშლის როგორი გენები აქვს კონკრეტულ პირს — სწრაფი თუ ნელი, მაგრამ შემდგომ აღმოჩნდა კიდევ რამდენიმე სხვა მნიშვნელოვანი გენი, რომელთა დადგენა აღნიშნულ ტექსტს აღარ შეუძლია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მარტო ამ ტესტის იმედად ყოფნა არ შეიძლება.

მაშ, როგორ უნდა მოვიქცეთ? როგორ და შეიძლება ორგანიზმზე კოფეინის ზემოქმედების ერთგვარად „ზეპირად“, გარკვეულად „თვალის ზომით“ დადგენა: თუკი მაგარი ყავის მასტიმულირებელი ეფექტი თქვენზე მალე, ვთქვათ, ერთი საათის განმავლობაში აღარ ვლინდება, უნდა ვივარაუდოთ, რომ თქვენი ორგანიზმი კოფეინს მალე შლის. სარგებელს მოგიტანთ პულსის გასინჯვა ყავის მირთმევამდე და მის შემდეგ ეს პროცედურა რამდენჯერმე გაიმეორეთ. თუკი ერთი საათის შემდეგ, ის ნორმაში დგება, ყველაფერი რიგზეა. ხოლო თუ გულისცემა ხშირია, მაშასადამე ბევრი ყავის სმა თქვენთვის სარგებლის მომტანი ნამდვილად არ არის. ნეგატიური სიმპტომებია ასევე ხანგრძლივი მასტიმულირებელი ეფექტი, ყურებში ჩუმი ხმაურის ან თვალებში მსუბუქი ბინდის შეგრძნება.

მეორე მხრივ მეცნიერებმა ყავაში მრავალი სასარგებლო ეფექტიც აღმოაჩინეს, თუმცა კი ისინი კოფეინთან არანაირად არ არიან დაკავშირებულნი და მათი მოქმედება სხვა აქტიური ნივთიერებების — ანტიოქსიდანტების მუშაობის შედეგია. მაგრამ, ამ სარგებლის მიღება მხოლოდ იმათ შეუძლიათ, ვისაც მემკვიდრეობით კოფეინის სწრაფად დამშლელი გენები ერგო.

დანამდვილებითაა ცნობილი და დადასტურებული, რომ ყავა ანელებს ს ჰეპატიტის განვითარებას ეგრეთ წოდებული ღვიძლის უალკოჰოლო ცხიმოვანი დაავადების დროსაც — იგი ამუხრუჭებს ციროზის განვითარებას. მამაკაცებში კოფეინი ამცირებს პროსტატის, მსხვილი ნაწლავისა და კანის კიბოს, ქალებში კი ამცირებს საშვილოსნოს ყელის, მკერდის, კანის, საკვერცხეებისა და მსხვილი ნაწლავის კიბოს წარმოშობას.

**მოამზადა**
**ოთარ ტურაბელიძე**

# ისლამისტთა ჯალათი მოკლეს



ერაყში ისლამური სახელმწიფოს ცნობილი ჯალათი მოკლეს. ამის შესახებ გამოცემა მირორი იტყობინება. გავრცელებული ინფორმაციით, აბუ საიაფს ერთ-ერთი შეიარაღებული დაჯგუფების წევრებმა დანებით სასიკვდილო ჭრილობები მიაყენეს, რის შედეგადაც ის ადგილზე დაიღუპა. ინციდენტი 29 იანვარს მოსულში ალ-დავასის რაიონში მოხდა.

# ასადმა ინსულტი მიიღო



სირიის პრეზიდენტს ინსულტი მოუვიდა. ამის შესახებ თურქული გამოცემა საბაჰი იტყობინება. ინფორმაცია ასადის ჯანმრთელობის გაუარესების შესახებ სოციალურ ქსელ ტვიტერში ალ-ჯაზირას ჟურნალისტმა ფეისალ ალ-კასემაც გაავრცელა. მისი მტკიცებით, სირიის ლიდერი საწოლს არის მიჯაჭვული. ოფიციალური დამასკო ასადის ავადმყოფობის ფაქტს არ ადასტურებს.

# შვარცენეგერი პრეზიდენტს აკრიტიკებს



**ტრამპის** საიმიგრაციო პოლიტიკას კალიფორნიის ყოფილი გუბერნატორი არნოლდ შვარცენეგერიც უპირისპირდება. 7 მუსლიმანური სახელმწიფოს მოქალაქეებისთვის ამერიკის ტერიტორიაზე შესვლის აკრძალვას კალიფორნიის გუბერნატორმა უგუნური გადაწყვეტილება უწოდა.

„მსგავს გადაწყვეტილებებს თეთრი სახლი იუსტიციისა და და უშიშროების სამინისტროებთან შეთანხმებით უნდა იღებდეს. ვფიქრობ, მათ ამ უგუნური გადაწყვეტილების მიღება იჩქარეს,"— განაცხადა შვარცენეგერმა.

# ირანმა ბალისტიკური რაკეტები გამოსცადა



**გაეროს** უშიშროების საბჭო საგანგებო სხდომას გამართავს. ამის მიზეზი ირანის მიერ ახალი ბალისტიკური რაკეტების გამოცდა გახდა. საშუალო რადიუსის რაკეტები ირანმა გუშინ გამოცდისას გამოცადა. 2015 წლის გაეროს რეზოლუცია თეირანს ბირთვულ ექსპერიმენტებს უკრძალავს, თუმცა ირანმა ბოლო წლინახევრის განმავლობაში ბალისტიკური რაკეტები უკვე მეორედ გამოცადა.

**ინტერნეტიდან**

# ლუსი პინდერის იმედები და რწმენა



**ვისაც** ინგლისურ ფეხბურთთან და პრემიერლიგასთან ახლოს „გაუვლია", ყველამ კარგად უწყის, თუ ვინაა ბაყვ-ბარძაყოსანი ინგლისელი მოდელი ლუსი პინდერი, რომელიც თავის საქმიანობაში განსაკუთრებულად პოპულარული, რაც უნდა უცნაურად ჟღერდეს, სწორედ მისმა აღმატებულება ფეხბურთმა გახადა.

ლუსი წლებია, ინგლისის „საუთჰემპტონს" ეტრფის და განსხვავებით მრავალი დიდი კლუბის მილიონობით ქომაგისაგან (უფრო ზუსტად კი ფსევდოქომაგებისგან), ეს ქალი თავის არჩევანს არასოდეს ღალატობს და ყოველთვის „წმინდანების" ერთგული რჩება.

გარდა „საუთჰემპტონის" გულშემატკივრობისა, ლუსი პინდერმა ამასწინათ ინგლისის საფეხბურთო ნაკრებზეც გააკეთა კომენტარი და განაცხადა, რომ ის ინგლისის უპირველეს გუნდსაც ერთგულობს და დარწმუნებულია, რომ 2018 წლის რუსეთის მუნდიალზე ჩემპიონობა სწორედ ინგლისელებს დარჩებათ. ვითომ?

**როსტომ რაჭველიშვილი**

# როგორ ვუმკურნალოთ სურდოს?



**წლის** ცივ დროს სურდო — ესაა ჩვეულებრივი მოვლენა, რომელიც ყველას ერთნაირად კი აწუხებს, მაგრამ მის გამო, ცხადია, მეტი ნერვიულობა, მშობლებს უწევთ.

როცა ბავშვს სურდო გამუდმებით აქვს, მაშინ, პირველ რიგში, ადენოიდებია გასასინჯი, რისთვისაც ლორ-ექიმს უნდა მიმართოთ. სისხლძარღვთა შემვიწროებელი წვეთების მოხმარება სამ დღეზე მეტ ხანს არ ღირს. ანტიბიოტიკების შემცველი ცხვირის სპრეების გამოყენებას კი, უმჯობესია საერთოდ მოერიდოთ. ჯანმრთელი ბავშვების აბებითა და მიქსტურებით გაჭყეპვა მცირე გაცივებაზე საერთოდ არ ღირს, ტემპერატურის დაწევის მცდელობის დაწყება კი სულაც 38,6 გრადუსიდან უნდა დაიწყოთ. საქმე ისაა, რომ ტემპერატურის აუწევლად ორგანიზმი კარგ პასუხს არ გამოიმუშავებს, რის გამო ერთი და იგივე ვირუსისგან ბავშვი ავად შეიძლება რამდენჯერმე გახდეს.

პროფილაქტიკისთვის საჭიროა, ბავშვმა რაც შეიძლება მეტი ისეირნოს — ჰაერზე ავად გახდომა უფრო რთულია. ხელების დაბანაც უფრო ხშირადაა საჭირო. ბინაში არც ზედმეტად უნდა ცხელოდეს, არც ჭარბი სიმშრალე უნდა იყოს: როცა ყელცხვირის ლორწოვანი გარსი შრება, მაშინ ორგანიზმის ავადმყოფობებისადმი წინააღმდეგობის გაწევის უნარი იკლებს.

ამასთან, მედიკოსები საგანგებოდ აღნიშნავენ, რომ დიდად სასარგებლოა ბავშვის ღია სარკმლით დაძინება.

# „ახალი" რუსეთელები



**რუსეთის** საიმიგრაციო სამსახურის ცნობით, ამიერიდან რუსეთული მოქალაქეობის მიღება რუსული ენის თუნდაც არც თუ კარგად მცოდნეებს დაჩქარებული სქემით მიღების შესაძლებლობა აქვთ.

მოქალაქეობის მიღებაზე პრეტენზია შეიძლება, იმ პირებმა გამოთქვან, ვისაც საგანგებო კომისია „რუსული ენის მატარებლებად" მიიჩნევს.

ოფიციალური განმარტებით, ასეთად ჩაითვლება რუსული ენის მცოდნე პირი, რომელიც მას ყოველდღიურად იყენებს ოჯახსა და სოციუმში.

რუსეთულ პასპორტის მიღება შეეძლებათ მხოლოდ იმათ, ვინც დაიბადნენ ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე და იქ ცხოვრობდნენ, ანდა რომლებიც მის საზღვრებში დაბადებულ პირთა პირდაპირი შთამომავლები არიან. მთელი პროცედურის გავლა სამ თვემდე ვადაშია შესაძლებელი. ამასთან, რუსეთის ახალი მოქალაქე ვალდებული იქნება ძველ მოქალაქეობაზე უარი განაცხადოს.

# რესტორანში წავიდეთ? — მაშინ წყალქვეშა ნავი ავიყვანოთ!

**მსოფლიოში** ერთ-ერთი ყველაზე ძვირიანი შვიდვარსკვლავიანი სასტუმრო „ბურჯ ალ არაბი" არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში, სპარსეთის ყურეში ხელოვნურ კუნძულზე მდებარეობს.



28-სართულიან სასტუმროს სტუმრები წყალქვეშა რესტორანში წყალქვეშა ნავებით მიდიან, სახურავზე შვეულმფრენების დასაჯდომი მოედანია, გადასაადგილებლად კი „როლს-როისების" მთელი ავტოპარკია.

ყველაზე იაფიან „ლუქსის" კლასის ნომერში ღამის გათევა 700 დოლარი ღირს, ყველაზე ძვირიანში კი — 8 ათასი დოლარი. მეტიც: სასტუმროში შესვლაც კი ფასიანია! მაგრამ ეს ამბავი სულაც არ ადარდებთ იმათ, ვინც ფულს „ამერიქან ექსპრეს ცენტურიონის" საკრედიტო ბარათით იხდიან. შავი პლასტიკის ამ ბარათის მისაღებად კაცი საქვეყნოდ უნდა იყოს ცნობილი, ვთქვათ ისეთი, როგორიცაა მილიარდერი ბილ გეიტსი. თანაც, გარდა ამისა, საჭიროა პიროვნების კომპანიის პერსონალური მიწვევა, ამასთან, მას ოქროსა და პლატინის ბარათების მთელი კომპლექტი უნდა ჰქონდეს. „სუპერბარათის" წლიური მომსახურება 1000 დოლარი ღირს.


საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
საართაკ ძოზულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე"

იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში"
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323

ISSN 2233-3851
9 772233 385001


**ავტორთა საყურადღებოდ!**

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

**„საქართველოს რესპუბლიკა" შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!**

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.7061; ევრო - 2.8947;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.3926;
100 რუბლი - 4.5211; თურქული ლირა - 0.7116;
აზერბაიჯანული მანათი - 1.3937;
1000 სომხური დრამი - 5.5738.

**ამინდი 1 თებერვლისთვის**

| | | |
|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | |
| ბარი - | ღამე -8, | დღე +2 |
| მთიანი რაიონები - | ღამე -14, | დღე +1 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | |
| ბარი - | ღამე -7, | დღე +4 |
| მთიანი რაიონები - | ღამე -12, | დღე -1 |
| თბილისი: | ღამე -3, | დღე +2 |


**დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:**
ტელ: 293-13-34, 599-79-76-79
WWW.SAKRESP.GE